

ქართული



ქართული მარწო ენთა?
ქართული ქართველთ რწმენთა!
ღმერთია, ბეჭისწერთა,
ზღვა როთ, იმოუწერ!

გარეანის ქართული სათვისტომოს რჩებანი

1(14) 2008
0868260-თმგმრვალი

ნოაზისი:

საპირვედვებელო ღერსი	3
საშობაო შეხვედრა მიუწერისი	4-6
ქათვეცია წარმოშობის შესახებ	6-8
ქათუღი ეკვესია შეკუცაჩუში	9-13
შობის მახასობლები ვაჟი, აღმო...	13-14
კატაღ მიყვანება უფლისა ჩვენისა იესო ქაისუესი	15-16
11 ლიხ საღომე ეობისნია „შეიღუნიერებ“ დაუხვაუ გახლა	16-17
მეამაყება, ჩომ ქათვეღი ვაჟ ღა ქათუღი ჩოხა მაცვია	18-20
„The Shin“ მიუწერისი	26-28
ლოლო ჭიჭირიძე: ქაღისთვის მიყოცნია, მაგამ ბეღაჩუისთვის shs!	22-23
გოლებძი ჩოხელის ხეოვნას	24-28
საბავშვო გვეხლი	28-29
Zwieggespräch an der Krippe	30

სამიეროვანი განვითარების კონცენტრაციული ცენტრი

ჩალაკ მინდა ნიკოსიელები მეცი,
ყველა სა მე მარცო / კინ.
შე მადიქები სა კანითველოს შედი,
მე ეანზიცლი ჩემ სამძირლოს ციფრილ.

ჩოეორი ახლია პორული ერი.
ანდა თოეორი მარმარილო ცინი,-
შე მადიქები სა კანითველოს შედი,
მე ეანზიცლი ჩემ სამძირლოს ციფრილ.

ჯერძნობ მიღებლის და ყაზბეგის გეოდი.
შენ ეაიგებ ჩემ აძნიან ცირილ.
შე მადიქები სა კანითველოს შედი,
მე ეანზიცლი ჩემ სამძირლოს ციფრილ.

ჩალაკ მინდა ნიკოსიელები მეცი,
ყველა სა მე მარცო / კინ.
შე მადიქები სა კანითველოს შედი,
მე ეანზიცლი ჩემ სამძირლოს ციფრილ.

ცენტრი ერთეული

გერმანიის ქართული სათვისტო

საუთენტი ჰუთულის მიუწმები

...ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთიანი! გილოცავთ! – ერთხმად ითვლიდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს მიუნხნის შემოგარენში შეკრებილი ქართველები „ძველზ ახალი წლის დადგომას. ჭიქებიდან უკვე აქაფებული შამპანური იღვრებოდა, როდესაც გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარებ ყველას ახალი წლის შემოსვლა მოულოცა და დარბაზში „მრავალუამიერი“ გაისმა. საქართველოს მონატრებული ქართველები და ჩვენი ქვეყნის მეგობარი გერმანელები ამ დღეს ერთმანეთს საახალწლო განწყობასა და სითბოს უნაწილებდნენ.

ახალი წლის აღნიშვნა გერმანიის ქართული სათვისტომოსათვის რამდენიმე წლის წინათ ტრადიციად იქცა. ტრადიციად იქცა ახალგაზრდა მუსიკოსების მიერ კონცერტის გამართვაც, ქართული კერძების მრავალფეროვნებაცდა კონცერტის დასასრულს ხალხურ თუ თანამედროვე ქართულ მუსიკაზე გამართული ახალგაზრდული დისკოუეაც.

ეს დღე არანაკლებ მნიშვნელოვანია მიუნხნის საკვირაო სკოლის მოსწავლეთათვის. საახალწლოდ მომზადებული პროგრამით, ისინი მშობლებსა და დამსწრე საზოგადოებას გასული წლის განმავლობაში გადადგმულ ნაბიჯებს აცნობენ. 13 იანვრის საღამოც სწორედ მათ – ჩაბნელებულ დარბაზში სანთლებით შემოსულმა პატარებმა – გახსნეს. „ალილოს“, საახალწლო ლექსები და



სიმღერები მოჰყვა, ყველაფერ ამას კი – გულიანი სიცილი, აპლოდისმენტები, მშობლების აცრემლებული თვალები და სათვისტომოს მიერ ბაგშებისათვის მომზადებული საჩუქრები.

შეკრებილოთ გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარებატონი ლერი დათაშვილი მიესალმა, მან სათვისტომოს პროექტები და სიახლეები მიმოიხილა. „სათვისტომოს ფუნქციონირება შეუძლებელი იქნება თქვენი თანადგომის გარეშე“ – მიმართა მან შეკრებილოთ და სათვისტომოს ახალი სახის წევრობა – სათათბირო ხმის უფლებით – გააცნო. „ეს არის სიმბოლური გამოხატულება იმისა, რომ თქვენ სოლიდარობას უცხადებთ სათვისტომოს.“ – განაგრძობატონმალერიმ. ამგვარი წევრობა საწევრო გადასახადის გადახდას არ ითვალისწინებს.

დაახლოებით ერთი წელია, რაც სათვისტომოშ საპატიო წევრის ტიტულის მინიჭება შემოიღო. განვლილ წელიწადს ეს ტიტული 6 კაცს მიენიჭა, ესენი გახლავთ თამარ ვესტი, მაია ფანჯიკიძე, ექვთიმე ენდელაძე, თინა პატარიძე, აწ განსვენებული კარლო ინასარიძე და წლის ბოლოს სათვისტომოს გამგეობის მიერ დასახელებული მანფრედ ჰელერი, რომელმაც ავადმყოფობის გამო საღამოზე დასწრება ვერ შესძლო. თავისი სიტყვის დასასრულს, ბატონმა ლერი დათაშვილმა, შეპირებული სიურპტიზით გაუმხილა შეხვედრის მოხაწილეებს – ქალბატონი

ქართული

ელიზაბედ გასტი სათვისტომოს საპატიო წევრად იქნა აღჩეული. დარბაზში მჯდომი საქართველოს დიდი მეცნიერისათვის ეს განცხადება ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა. “მე საქართველოს უკვე არაერთი წელიწადია ვიცნობ და ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა.” – აღნიშნა ელისაბედ გასტმა, რომელმაც მისივე სახელობის ფონდის საქმიანობა მიმოიხილა. მისი თქმით, ამ ფონდის დიდი მიზანია დაქმაროს ქართველ ახალგაზრდებს.

„ყველას დიდ მადლობას მოგახსნებთ, მიხარია რომ ამ დარბაზში ბევრ ახალგაზრდას ვხედავ, რომელიც ჩვენი ფონდის დახმარებით გერმანიაში ჩამოვიდა“.

აღინიშნა ისიც, რომ ამ ზაფხულს გერმანიის ქართულ სათვისტომოს დაგებმილი აქვს საფრანგეთში, ლევილში ქართულ სათვისტომოსთან სტუმრობა.

“ჩვენ შარშან ყველას ძალიან მძიმეწლიგერგო, განსაკუთრებით მისი ბოლო პერიოდი. არცერთი ჩვენთაგანისათვის, განსაკუთრებით კი აქ შეკრებილთათვის არ არის ადვილი ის, რომ გვიწევს შორიდან ვუყროთ ჩვენს ქვეყნას და ვიმსჯელოთ იმაზე, რაც ხდება ჩვენს სახლში, ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე. მინდა ყველას გთხოვთ, ვცადოთ დისტანცირება და ვცადოთ უფრო ვრცლად დავინახოთ ის, რაც ჩვენს ქვეყნაში ხდება, ვიგრძნოთ საკუთარი თავი მონაწილედ ამ პროცესისა და ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენი წვლილი, თუნდაც ძალიან მოკრძალებული, შევიტანოთ იმ საქმეში, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება უმტკიცენეულოდ დავამთავროთ. არაფერი განსაკუთრებული და განსაკუთრებულად ტრაგიკული ამ პროცესში არ არის. ეს ის მტკიცნეული გზაა, რომელიც



გაიარა ყველა ჩვენთვის მისაბამბა ქვეყანაშ და უნდა გაიაროს ყველა იმ ქვეყანამ, რომელსაც უნდა მცირედით მაინც დაუშვავსოს ამ მისაბამ ქვეყნებს. მე გისურვებთ, რომ დამდგარი 2008 წლის განმავლობაში გვიმდინდეს შესაძლებლობაც და პატივიც, რომ საკუთარი წვლილი შეგვეტანოს საკუთარი ქვეყნის შემდგომ გაძლიერებაში, და როგორც უკვე ვთქვით, ამ საპასუხისმგებლო და ძალიან მძიმე გამოცდის რაც შეიძლება სწრაფად ჩაბარებაში.“ – მიმართა დარბაზში შეკრებილთ გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან დუჩიძემ.

ბატონმა ლევანმა ასევე უახლოეს თვეებში მიუწენდში საქართველოს საპატიო საკონსულოს გახსნის შესახებ ისაუბრა, რაც, ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა საკონსულოს საქმიანობით უფრო სწრაფად და ხარისხიანად სარგებლობისა, მეორეს მხირვ, კი საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს არჩევნების დროს საკუთარი არჩევნის გაკეთებით განსაზღვრონ საქართველოს განვითრების გზა და მისი მომავალი.

“მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ ამ სათვისტომოს ფუნქციონირებისთვის. თქვენ იცით, რომ გერმანიაში რამდენიმე ქართული საზოგადოება არსებობს და მე სუფთა სინდისით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედუნარიანი და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მისაბაძი ყველა დანარჩენი სათვისტომოსათვის.“ – აღნიშნა საქართველოს ელჩმა გერმანიაში.

ბავშვების მიერ ლამაზად დაწყებული საღამოს საკონცერტო პროგრამას, ახალგაზრდა მუსიკოსები სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შესრულებული კლასიკური მუსიკის ნაწარმოებებით

ამდიდრებდნენ. მიუნხენელი ხელოვანების გარდა, კონცერტში აუგსბურგიდან და იტალიიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრებიც იღებდნენ მონაწილეობას. აღსანიშნავია ბიჭების გუნდიც, რომელმაც სპეციალურად კონცერტისათვის ერთად მოიყარეს თავი და მაყურებლებს ქართული ხალხური სიმღერები შეუსრულეს.

საკონცერტო პროგრამის დასასრულს სტუმრებს საშუალება მიეცათ ესიამოვნათ მონატრებული ქართული კერძებით და გამართულ საუბრებში უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი.

სცენაზე დაწყებულმა ცეკვა-სიმღერამ გაგრძელება სულ მაღლ დარბაზის შუაგულში პპოვა. „აჭარულის“, „მთიულურისა“ თუ „ქართულის“ მოცეკვე გოგო-

ბიჭები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. გვიანობამდე ისმოდა როიალთან მოგროვილი ახალგაზრდების მიერ შესრულებული ქალაქური სიმღერები....

...ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთიანი! გილოცავთ! – იმ საღამოს „მველმა“ ახალმა წელმა გერმანიის „პატარა საქართველოში შემოაბიჯა.

თუ სურვილი გაქვთ წინასწარ მიღოთ შეტყობინება სათვისტომოს მიერ ორგანიზებული შეხვედრა-საღამოების შესახებ, გთხოვთ მოგვწოდოთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი. დაგვიკავშირდით: info@satvistomo.de

ნინო ხაბელაშვილი

საქართველოს ისტორია

ქართველთა წარმომადის ძებაები

„ერთის დაცემა და გათახვისითება მაშინ იწყება, ჰითა ერთი, თავის საებედურო, თავის ისტორიას ივინყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მანანალა ბოგანა, ვისაც ადარ ახხოვს - ვინ არის, საიდან მოდის და ხად მიდის, იხევ ერთად ხსხენებელი არ არის, იგი, რომელსაც დმერთი გახსყრობა და თავისი ისტორია არ ახხოვს.“

ილია ჭავჭავაძე

ერთ, უპირველეს ყოვლისა, ბოლომდე შეუცნობი, სულიერი ორგანიზმია, რომლის წარმომობასაც ღვთის ნება განაპირობებს. ყოველი ერთ, ყოველი ენა უდიდესი ღირებულებაა, მაგრამ მნელია მსჯელობა ერებისა და კაციობრიობის წარმომობის საკითხზე.

ვინ იყვნენ ქართველთა წინაპრები?

ქართველი ერიც, მსგავსად სხვა ისტორიული ერებისა, ოდესალაც დაიბადა უძველესი ტომებისგან და გარკვეული გენეტიკური მემკვიდრეობის მატარებელია.

ქართველი ხალხის წარმომობის შესახებ უამრავი მოსაზრება, დოკუმენტი თუ ლეგენდა არსებობს.

საქართველოს მოსახლეობის შესახებ უძველეს ცნობებს განვიდის ჯერ კიდევ ანტიკური ხანისა და შეუა საუკუნეების ავტორი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (484-425 წწ.) მისი აზრით, კოლხები ეგვიპტური წარმომობისანი არიან. ისინი შთამომავლები უნდა იყვნენ ეგვიპტის მეფის

სესოსტრისის მოლაშქრებისა, რომლებიც მდინარე ფაზისთან (რიონთან) დარჩენილან. ამის საბუთად ჰეროდოტეს მიაჩნდა ის, რომ კოლხები, ეგვიპტელების მსგავსად, შავგარებანები და ხუჭუჭომიანები არიან, რომ ორივენი მისდევნ წინადაცვეთას, ერთნაირად ამუშავებენ სელს და ა. შ. (პერ., II, 103 – 105) ძველმა ბერძენებმა კოლხების მეზობელ იბერებსაც – აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას – „მოუძებნეს“ პირვანდელი სამშობლო. ასეთი იყო, მათი აზრით, ესპანეთი, რომელსაც ისინი „იბერიას“ ეძახდნენ. ძველ ბერძნულ სამყაროში პოპულარული იყო აზრი, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ეპანეთიდან) გადმოსახლდნენ. ამ გადმოსახლებას კიდევ ძვ. წ. VI ს. ცნობილ ბაბილონულ მეფეს ნაბუქოდონოსორს მიაწერდნენ. ამ აზრის მიმართ, ანტიკური ხანის მწერალი აპიანე, კრიტიკულად იყო განწყობილი რაკი მსგავსებას ვერ ზედავდა ესპანეთის იბერებსა

ქართული

და კავკასიის იბერიებს შორის.

სრულიად განსხვავებული აზრი აქვს ქართველთა წარმოშობის შესახებ I საუკუნის ეპრაელ მწერალს იოსებ ფლავიუსს. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბიძლიური თუბალები მერმინდელი იბერები (ქართები) არიან. XIX ს. პირველსავე ნახევარში ამაზევე მსჯელობს თეიმურაზ ბატონიშვილი: “ხოლო იოსაფ ფლავიოს მწერალი იუდიანთა ისტორიისაა, - ამბობს იგი, - ძველთა ეპრაელთა მოთხოვობათა შინა წიგნისა პირველსა, ნაწილსა და თავსა 6-სა, მოუთხოვობს ესრეთ: “სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინაიდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისანი. თეიმურაზბატონიშვილიამშემთხვევაშისარგებლობდა იოსებ ფლავიუსის თხზულებით, რომელიც ყოფილა “ქართველად თარგმნილი უფლისა ფილოსოფოსი მამისა ქართველთა მთარგმნელისა იოანე პეტრიწის მიერ”, საიდანაც მას სიტყვასიტყვით ამონწერი აქვს მოყვანილი: “დაამკვიდრებს უკუი თოვილოსკა, თოველთასა, რომელი აწ ვერად იწოდებიან”

ამასვე ამტკიცებს “ქართლის ცხოვრებაში აღწერილი ამბავი ქართველთა წარმოშობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ქართველებისა

„ეს ერთადეცთი წინაკარული ერთი სადაც შენარჩუნებულია ის ძველი მართლმადიდებლობა, რომელსაც პატერიკიებში კვითებულიათ. მაქსიმალურად მცხოვრები მიაჩინება. მეცნიერები თვლიან, რომ ისინი ცხოვრობდნენ ტიგროსისა და ვაფრატის სათავეებში. თარგამოსი ანუ თოვორმა იყო იაფეთის პირშოს გომერის მესამე ძე. იოსებ ფლავიუსის, ბიძლიის კომენტატორებისა და ძველი ქართველი ისტორიკოსების თანახმად, ამ სახელებში ქართული

დეკანოზი დიმიტრი კუკუტაფლოვი

და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი ბიძლიური თარგამოსი იყო “ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესში. მას შემდეგ, რაც ბაბილონის გოდოლის შენება ვერ მოხერხდა და ღმერიმა ადამიანები სხეადასხვა ენაზე აალაპარაკა, ისინი დაიფანტენ მთელ მსოფლიოში. თარგამოსიც წამოვიდა “ნათესავითურთ მისით ჩრდილოეთით და დაემკვიდრა არარატისა და მასისის მთათა შორის. მის მრავალრიცხოვან შთამომავლობას რგა გამოჩენილი, “ძლიერი და სახელოვანი” შვილი ჰყოლია: პაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლევა, ჰეროს, კავკას, ეგროს. აი ამათ გაუყო თავისი სამფლობელო თარგამოსმა და ყველა ისინი თავისთვის სამფლობელოში დაასახლა. მათგან მოდიან: პაოსიდან – სომხები, ქართლოსიდან – ქართველები (ქართები), ბარდოსიდან – რანი, მოვაკენიდან – მოვაკელი, ლევიდან – ლევები, ჰეროსიდინ – ჰერები, კავკასიონან – კავკასიანი, ხოლო ეგროსიდან მეგრელი.

დღვენდელი ქართველთა წინაპრები რომ ბიძლიური წარმოშობისი არიან ვკითხულობთ აგრეთვე „დაბადებაში“, „სადაც საუბარია დედამიწაზე მცხოვრებ პირები ხალხთა შესახებ. აქ მოხსენიებული თობელი, მოსოქი და თორგამი, (იაფეთის ძენი და მისი შთამომავლები) ქართველთა წინაპარნი არიან. წარღვნის წყალთა დაწდომისა და კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ გამრავლებული ნოეს

ძის შთამომავლობა ასეთია: „იაფეთის ძენი - გომერი, მაგოგი, იაგანი, თუბალი, მუშექი და თირასტ (დაბ. 10,2-5). დედამიწის თავდაპირველ ხალხებს, ტომებსა და ცივილიზაციებს სემის, ქამისა და იაფეთის ძეებმა დაუდეს საფუძველი, მათ შორის ქართველთა აღნიშნული წინაპრებიც მოიხსენიებიან, რომელთა შესახებაც ცნობილი თეოლოგი ლოპუხინი წერს - „როგორც დაბადებაში, ისე წმიდა წერილში თუბალი და მესები ერთად მოიხსენიებიან, მათი საცხოვრისი განისაზღვრება პალესტინის ჩრდილოეთით. ასირელი მეფების ანალებში ერთმანეთის გვერდით მცხოვრები მუსკი და თაბალ ხალხები კილიკიაში მცხოვრებად მიიჩნევა. მეცნიერები თვლიან, რომ ისინი ცხოვრობდნენ ტიგროსისა და ვაფრატის სათავეებში. თარგამოსი ანუ თოვორმა იყო იაფეთის პირშოს გომერის მესამე ძე. იოსებ ფლავიუსის, ბიძლიის კომენტატორებისა და ძველი ქართველი ისტორიკოსების თანახმად, ამ სახელებში ქართული

ტომები იგულისხმებიან.

მოგვიანებით უკვე XIX საუკუნეში ქართველთა ეთნოგნეზით დასავლეთუევროპელი ისტორიკოსებიც დაინტერესდნენ (ლენორმანი, მასპერო და სხვ.) რომელთაც ქართველ ტომთა (მერმინდელი იბერებისა და მესხების) წინაპრებად მიიჩნიეს ასურული წყაროებით მცირე აზიაში ძვ. წ. XII-VII სს. დამრწმებული თაბალები და მუშექები. ამათ მალე მიემატენ ქაშქები (ისენიებიან აღმ. მც. აზიაში იმავე ასურული წყაროების მიერ და, აგრეთვე, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ხეოურ წყაროებშიც), როგორც კოლხების წინაპრები, ქართველთა (ქართიბერთა) წინაპრების წრეში შემოიყვანეს აგრეთვე ქსენოფონტეს მიერ ძვ. წ. V ს. დასასრულის ზემო მესოპოტამიაში (ისტორიული “გორდუენს” – კორდუქის მიწა-წყალზე) მოხსენიებული კარდუხები, რომელთა სახელი მართლაც საოცრად ჰგავს ქართების ადგილობრივ სახელს (“ქართუ”). კ. ფ. ლემან-ჰაუპტი თვლიდა, რომ ქართები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ. მოსახრებამ თაბალების, მუშექებისა და სხვათა ქართველთა წინაპრობის შესახებ და მცირე აზიიდან კავკასიაში (საქართველოში) ძვ. წ. VII საუკუნის შემდეგ მათი გადმოსახლების შესახებ მეტად ფართო გავრცელება მოიპოვა განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი სხვებთან ერთად მიიღო XX

საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა. დაეყრდნო რა ლეგენდარულ ცნობებს იძერების გადმოსახლების ან სკვითების მამამთავრის ცხოვრების დროის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა მატერიალური კულტურის მონაცემებიც მოიშელია და აღნიშნა, რომ სკვითერ-სარმატულ მატერიალურ კულტურაში მრავლად გვხვდება ოქროსა და ბრინჯაოს ნივთები, ხოლო რკინა ცოტაა. მაგრამ მცირე აზიაში, საიდანაც სკვითები მოვიდნენ, უკვე XIV საუკუნიდან იცნობდნენ რკინას. როგორც ჩანს, აზიადან სკვითებისა და სარმატების გადმოსახლების დასაწყისისათვის იგი ამ თარიღს აძლევს უპირატესობას, ხოლო ამ მოძრაობის ერთ-ერთი უკანასკნელი ტალღა – სამხრეთიდან ამიერკავკასიისაკენ წამოსულ ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღა - მისი თქმით, “VII ს. ქ. წ. დაძრულვ”. ამრიგად მან თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ასე დაასახუთა ქართველი და სხვა კუგასიელი ტომების კავკასიაში სამხრეთიდან მოსვლა.

ეს კონცეფცია სრულიად უარყო ს. ჯანაშიამ და დაასაბუთა, რომ ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძეველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. უძველეს დროში, დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულებზე) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდევისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილი იყვნენ ხეთები და სუბარები. იქ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის საჭირო ნიადაგი არსებობდა. ამიტომა, რომ, როცა ურარტუს სამეფო დაქმხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრმა უფრო ჩრდილოეთისაკნ გადმოინაცვლა. აქ ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია.

ქართველთა წარმომავლობაზე თავისი კონცეფციის ამოსაგლად ს. ჯანაშიამ გაიხადა XIX ს. დასაგლურ სამეცნიერო ლიტერატურაში პოპულარული იდეა ქართველთა მონათესაობის შესახებ ძველი აღმოსავლეთის მთელ რიგ ხალხებთან.

ჯანაშიას სიტყვით რომ ვთქვათ, ერთ დროს გრცელ მიწა-წყალზე მცირე აზიასა, სამხრეთ ევროპასა, კავკასიასა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრები ქართული გვარტომობის ხალხები, ქრისტეშობამდე IV საუკუნისათვის მხოლოდ კავკასიაში შეუუულ ტომებად იქცნენ, მაგრამ უფალ ღმერთს ისინი არ დაუკიდებია, მეფე ფარნაკაზის დროს მისცა ძალა, რათა ჩამოყალიბებინათ ერთიანი, „ქართლის სამეფო“ ცნობილი სახელმწიფო და დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლობა ერთიან ერად შეკრა. I საუკუნეში, ქრისტეს აღდგომის

შემდეგ, დედა ღვთისას მიეცა აღთქმა ქართველი ერის ღვთისაგან „არაუგულებელყოფის“ შესახებ. ჩვენმა მაცხოვარმა იქსო ქრისტემ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მისი წილხვდომილი ერის შესახებ უბრძანა: „პოი, დედაო ჩემო, არა უგულებელყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათოვის“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ.38). ღვთისმშობლისადმი მიცემული ამ აღთქმით ქართველი ერი კველა ქრისტესმოყვარე ერის მსგავსად უფლის რჩეულ ერად იქცა. ეკლესიის ძველქართველ ისტორიკოსთა თანახმად, ამ სიყვარულის ნიშნად, პირველ საუკუნეშივე ქართველმა ერმა ზეცით ქსოვილი კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი მიიღო, ნიშნად იმისა, რომ „საზეპურო ქართველი ერზ მის წიაღში შენახული კვართის მსგავსად მთლიანი და დაუნაწევრებელი დარჩებოდა, თუ იგი ქრისტიანობას დაიცავდა.“

ამრიგად, რას გულისხმობს ქართველთა ეთნოგრენები?

სემისა და იაფეტის შტამომავალთა გაყრას, სხვადასხვა ტერიტორიებზე განსახლებას და შემდეგ კვლავ დაბრუნებას ერთმანეთთან. დაბრუნებას განცდილი ტკიფილითა და მარადიული ქართული სიყვარულით. თავისთავად საოცრებაა ასეთ პატარა ტერიტორიაზე მცხოვრები ერთი ერი “კრიმანჭულსაც” მღეროდეს და კახურ “მრავალქამიერსაც”, სვანურ “ლილეოსაც” და მეგრულ “ნანასაც”. და ამ დროს ყველა საგალობელი-ნამღერი სვანურად, მეგრულად, კახურად მაინც ერთსა და იმავეს აღიდებდეს – შემოქმედს ჩვენსას უფალ ღმერთს.

მოამზადა
ეკატერინე ცირიკაშვილმა

ინცორმაცია:

Au-Pair - ის პროგრამით ჩამოსულ ახალგარდებს, რომლებსაც აქვთ შეკითხვები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, შეუძლიათ დაუკავშირნენ სათვისტომოსთან არსებულ საინიციატივო ჯგუფს შემდეგ ტელფონზე:

0176 23346015 (პარმენი),
0176 22640247 (თინათინი),
0179 4998874 (ნინო)

ან ელექტრონული ფოსტით:

info@satvistomo.de

ଶ୍ରୀକୃତି ପୁଣିତ ଶ୍ରୀକୃତି ମହାଦେଵ ପୁଣିତ

2005 წლის 19 ივნისს, სეროფოფენობის ღლესასნაუცეს, იმ ღლეს, ჩოდესაც მახთომაღილებრეჲი სამყარო დებამინაზე ეკლესის ღაფებნებას ზეიმობს, შეგა შეუტგაჲში მცხოვრებ ქართველთა შეხვედა, ჩოდის მიზანი იყო ღასაცეტის სერიების სიკარისი მახთომაღილებრებისთვის ნავსაყელების შექმნა, საღა საკუთა ცოდვებსა თუ ტავიღილების აღმოფხვერის საშარება მიერემოდა თვითოუეცს. უვერას ტავიღილი ერთმანეთს ჰავედა - ეს იყო სერიების სიკარისი თანამეორევე მსოფლიოში გაბატონებული თავბერებამხვევი სივიღიზაციის მიღმა. ღაინყო შეუტგაჲში ქართული მახთომაღილებრეჲი ეკლესის ღასხების საშარებების ძიება... გაძელი და ძნელი გზის გავდა ღასჭირებამეტებოს, ვიზე ღოვანელება სახეს მიიღებდა. იყო ნინააღმდეგობები გერმანიის სასამათოოს თუ ფინანსების ობიექტების მხედვან, მაგან ლოტის მაღლის შენერვით გადაიღას უვერა ბოუქონაციური ნინაობა. ჩამოყალიბდა გამგეობა (ანგერას ვორთის ხერმძღვანელობით), საბჭო და საერთო წევრთა უჟება. მახთომაღილებრეჲი გაექვემდებას საქართველოს საპატიონექსის და 2006 წლის ივნისში მისი მაღლაცხამლველოებობის მეფე აბხაზის (გამერის) ცოცვა-უჟერთევით შეუტგაჲცის მქევცს ნმინდა იღია მახთის სამეცნიერო ენობა. უმვერი თვის პირველ შაბათს აქ მიენხენიდან ნმინდა ვახტანგ გომიგასცის სახელობის ეკლესის ნინამძღვანი, მამა თამაზი (ცომიძე) ჩამოირს ნიჟვის ჩასაჭარებლად. მქევცის წევრები ღოვანი თავიანთ სიხარულის გვიზოაჲებენ.

ეკლესია შტუტგარტში ჩემი სამშობლოა, ჩვენი უსათხოესი მოძღვრის მამა თამაზის წირვა ჩემთვის აუცილებელ სულიერ საზრდოთ, სულიერი წყურვილის დაოკებად გადაიქცა.

ეს ის საგზალია თვიდან თვემდე რომ ვმყოფინობ და როცა ამქვეყნად ყველაზე ცოდვილი ზიარების ღირსი ეხდები, თვალცრულიანი ვგრძნობ როგორ იღვრება ჩემი სულის ღრმა, მიტოვებულ კუნჭულებში უფლის მადლი, კსხვათერდები, უზილავი ძალა მემატება, მძლეუთამძლე მგონია თავი. ასე მგონია თავიდან ვიბადები, მინდა ყველა ადამიანი გულში ჩავიკრა და მიმდინარეობოდ.

ეკლესიას მრგვლი ჩემთვის ერთმუშტად შეკრული დიდი ოჯახია, სადაც, აღბათ, ჩემსავით ყოველი თანამემამულე ერთმანეთის ნახვას ესწრაფვის, ერთმანეთის კარგი უხარიათ, ერთმანეთის გასაჭირო სტკოდათ და გულზე ხვდებათ.

ეს ის თბილი ოჯახია, საღაც გულის გასახარებლად, წლიდან წლამდე თუ თვითდან თვემდე ქართველ-გერმანელი ნორჩები იბადებიან, კვირტებივით იშლებიან, შვლის ნუკრებივით ყველას თვალზე ფქს იდგამენ, უმწიკვლო თვალებით შემოგციცინებენ, სიცოცხლის, სიყვარულის და იმედის ნაწერწყალს გაიღვიუბენ სულმი.

და ის ის უ უ ჩენი თორნიკები, სოფიოები, ლილები და ქრისტინები ნამძინარევი თვალების ფშვნეტით პარია უღონო ხელებით ხატებწინ პირჯვარს იწერენ და უფალს შესავერებლად სალუქი თითებით სანთლებს უნთებენ, ხანაც გალობით მონუსხულები მგალობლებს ხმას წაშველებენ.

განა ამ გრძნობას რამე შეედრება?

ნება მომეცით მადლობის ნიშნად თავი მოუდრიკო
ჩვენს დაუღალავ მოძღვარს, მამა თამაზს, ჩვენი სულს
მეურნალს, ვინც უფლის თუ მოყვასის სიყვარულს
და ერთმანეთის გატანას გვასწავლის.

ଜ୍ଞାନମରତ୍ୟୁଲଙ୍କୋବ୍ଦା ଏବଂ ଶିଖିତେ ଧାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେପଣକୋର୍ଦ୍ଦେଶେ ଆମ ଅବ୍ୟାଳ
ହେଲ୍ଲିରେ ହେବେନ୍ତଗୁରୀ ଧାଉଥାର୍ଯ୍ୟାଲ୍ ଶୁଣିଏଇ ମନ୍ଦରଗାରିରେ
ଏବଂ ମିଳି ଲାମାଙ୍କ ଓଜାକ୍ସେ, ଝିଲାକ୍ ତାଙ୍କୁରେ ମନ୍ତ୍ରକୋର୍ଦ୍ଦେଶେ
ମ୍ବେଲ୍ଲିଥ୍ରେ-ମ୍ବେଲ୍ଲି କରିବେଶେଇବା, ଉତ୍ତଲିକେ ଏବଂ ଅଧାମିନ୍ଦ୍ରିୟରେ
ଶିଖିବାରୁଲୁ ଧାଉଥାଇବା!

ერთმანეთის სიყვარულში და არა ერთმანეთთან უაზრო
კინ ქლაობაში დავხარჯულიყოთ ქართველებო!

მმას მმა ბეწვის ხიდზე გაგვეყვანოს!

მტლად დავდებოდეთ ეროვნული კართველებო!

გულით გვეტარებინოს ეკლესია და უფლება

და ლოცვა-კურთხევა არ მოგვიღებოდეს!

სათუნა ზაილერტ

ნათურა ზაიტერტი





შტუდგარდში ქართული ეკლესია, ჩემთვის დიდი ხნის ოცნების რეალობად ქცეული სინამდვილეა.

მე უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებს გავიხსნებ: “ფრიად სცდებიან, რომელნიც თავს მართლმადიდებლად მიიჩნევნ, ეკლესიას და მის კანონებს კი უარყოფნ. მათვის გაუგებარია ეკლესიის სულიერი ცხოვრება, რადგან ვერ სწვდებან მის სიღრმეს“.

თანამედროვე სამყაროში მნელია ცხონდე, თუ არ იცი რითი დაიწყო ცხონება. მართლმადიდებელ ადამიანს მოეთხოვება უყვარდეს და ყოველთვის ახსოვდეს თავისი შემოქმედი, აღასრულოს ქრისტეს მცნებები, ამის შესრულება კი მართლმადიდებელ ეკლესიის გარეშე შეუძლებელია.

“თუ ღმერთან ხარ, ნებისმიერ ადგილზე გაქვს სახლ-კარი და სამშობლო, ღვთის გარეშე კი სახლიცა და მამულიც გადასახლება და ტყვეობაა.“ წმ. ტიხონზაღონელისეს სიტყვები იყო მიზანი შტუდგარდში მცხოვრები ქართული დიასპორისა, რომელთა მიერ ერთობლივად აღვლენილმა ლოცვამ შედეგი გამოიღო და დღეს საშუალება გვაქვს შობლიურ ენაზე აღვლენილი ლიტურგიაც მოვისმინოთ.

ნუდაგვაიწყდება, რომთითოვეული გადარჩენილი სული უფლის წინაშე უდიდესი ღვაწლია.

მრავალუამიერ ქართული სულის საგალობელს.

ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი

ალბათ, სიტყვები არ მეყოფა გადმოვცე ის, თუ რას ნიშნავს ქართული ეკლესიის არსებობა აქ, გერმანიაში, ასე შორს საქართველოდან. ყოველი თვის პირველ შაბათს მიუნებიდან შტუტგარტში გვეახლება ხოლმე

ჩვენი უსაყვარლესი მამა თამაზი და იწყება ის ძალიან მონატრებული, ქართული მადლით გაჯერებული, მრავალ ჭირნახული, ქართულ ენაზე ამღერებული წირვა-ლოცვა. მადლია და კიდევ უფორ მეტიც, იმ ნახევარი დღით ყველანი ვერთიანდებით, კეთიშობილნი ვხდებით, თითქოს არტახებიდან გამოვდივართ, რომელსაც ჩვენი ყოველდღიურობა პქვია. მიმტევებელნი და მოსიყვარულენი ვხდებით, მერე თვითოვეულ ჩვენთაგანს ყოველი წირვა-ლოცვიდან, მეტ-ნაკლებად, რასაცირველია, სიყვარული მიაქვს თან საგზლად თუ უფლისა და თუ მოყვარისა. ეჭვი არ მეპარება, რომ ყველა ქართველი ქვეცნობიერში მაინც მართლმადიდებელია, ქართული ეკლესიის არსებობა კი ჩვენთვის შინ ყოფნას და უფლის სიყვარულთან ზიარებას ნიშნავს, უფლის სიყვარული ხომ ყოფის მიზანი გახლავთ, ხოლო ქართული ეკლესიის არსებობა კი ამ მიზნისაკნ ყველაზე რეალური საშუალებაა ჩვენთვის, იმათვის, ვინც ასე შორს ვართ საქართველოდან.

მარინა აბრამიშვილი

ქართული ეკლესიის არსებობას შტუტგარტში ჩემთვის არ სჭირდება მიზეზის ძებნა. ეს არის მე რომ მშობელ დედასთან მაკავშირებს, და ახალდაბადებულის სურნელი რომ ასდის, ეს ის ადგილია, სადაც მყუდროება ისადგურებს. აქ აღსარებაზე მისულს თითქოს არაფერი მაქვს სათქმელი და ამავე დროს მხრებზე მაწევს დანაშაულის გრძნობა. მოვდიგარ დაზუნძლული ტკივილებით, დამბიძებული გონიერით, ჩამონქლებული აზრებით, ვეძებ თავშესაფრს და რა ბედინიერებაა როდესაც თავისუფალი, მხრებგაშლილი ვბრუნდები უკან.

ქართლი

სად შეიძლება ყველაფერ ამას ასე ლამაზად ეზიარო თუ არა მართლმადიდებლურ ნათელ წიაღში, იქ სადაც ჩუმად ნათქამ საგალობელში ცრემლები ყელში გებჯინებიან. ეს უდიდესი საიდუმლოა, რომლის გადმოცემა არავის შეუძლია. აქ შეიძლება გახდე პატარაც და აქ შეიძლება იგრძნო, რომ მთების გადადგმაც შევიძლია.

ადამიანს მეგზური სჭირდება იმისათვის, რომ საღვთო მადლს მიუახლოვდეს, ეს მეგზური ჩვენთვის მამა თამაზი (ლომიძე) აღმოჩნდა. დიდი მადლობა მას იმ უდიდესი თანადგომისთვის, რასაც უშურველად აკეთებს ჩვენი დამძიმებული სულებისათვის, მადლობა ყველა იმ თითოეული მრევლის წვერს, რომელთა ერთობლივი ძალისხმეულითაც ამ ყველაფერს ფრთხი შეესხა. ეს ხომ ის გზაა, რომელმაც ჩვენ სასუფელისკენ მიმავალი გზა რომ უნდა გაგვინათოს.

ნურავინ იფიქრებს საქართველოდან გადახვწილებს აღარ ახსოვთო მშობლიური. იქნებ ჩვენ უფრო მეტად გვახსოვს, მეტად გვტკივა, და იქნებ აქ უფრო გავხდით ღრმადმორწმუნები. და თუ სიყვარული ვისწავლეთ და მიტევება, იქნებ ჩვენი ლოცვით მაინც დავეხმაროთ საქართველოს.

ერთობა გვქონოდეს უფალში. ღმერთი ზრუნავს თითოეულ ადამიანზე, ჩვენც ვიზრუნოთ ერთმანეთზე და გვიყვარდეს ერთმანეთი.

ეკატერინე ცირიკაშვილი

თვეში ერთხელ ჩატარებული ღვთისმსახურება ქართულ ენაზე არის უდიდესი მადლი, რომელიც თვიდან-თვემდე საგზლად დამაქვს. ეს არის ჩემთვის ის ერთადერთი ლამაზი დილა, რის გათხნებასაც მოუთმენლად და ამავე ღროს განცდებით აღსავსე

ველი, რადგან ეს სწორედ ის დღეა, როდესაც შემიძლია, როგორც ჩემი ტკიფილი, ასევე სიხარული უფალს გაფანდო.

ჩემთვის დიდი მადლი და დიდი პასუხისმგებლობაა მგალობელთა გუნდში ყოფნა. რაც უკვე აუცილიბელ მოთხოვნილებადაც კი მექცა.

მე, აქ უცხო მიწაზე მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი, იმით ესულდგმულობ რომ ღმერთი მუდამ ჩემთან არის და მე უფლება არ მაქვს ჩემი მფარველი და მსხნელი თუნდაც ერთი წუთითაც რომ დაგვიიწყო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ უფლის გარეშე არა მხოლოდ ქალაქი და ადამიანის სახლი, არამედ ჩიტის ბუდეც არ შენდება.

ამბობენ რომ, კეთილდღეობა სახლისა ოჯახის წინამდოლობზეა დამოკიდებულიო, მრევლისა კი მოძღვარზე. ვიტყოდი, რომ ჩვენ ბელნიერება გვხვდა წილად, რომ გვეოლოდა ისეთი სათხო მოძღვარი, როგორიც მამა თამაზია. მან მოახერხა აქ მყოფი, გაფანტული ქართველების ერთ მუშტად შეკვრა.

და ბოლოს კი მინდა ყველა საქართველოდან გადმოხვწილ ქართველს მივმართო: მხურვალედ გვიყვარდეს ხალხნო ერთმანეთი, მოვეფეროდ და მივუტევით ერთმანეთს. ჩვენ ხომ შესაძლებლობა გვაქვს იმისა რომ, თუნდაც თვეში ერთხელ ქართულ ენაზე აღვლენილი წირვა მოვისმინოთ, რაც ბევრისთვის სამწუხაროდ ოცნებად რჩება.

არ დაგვავიწყდეს რომ, უფალს ყოველთვის ვახსოვართ და ჩვენთან არს ღმერთი!

ეკატერინე აბრამიშვილი

მგალობლები სამეცადინოდ კვირაში ერთხელ ან ორჯერ კხვდებით ხოლმე, მაგრამ ყველას ისეთი გრაფიკი გვაქვს – ზოგს მუშაობის, ზოგს




სწავლის, რომ ყველა ერთად შეკრებას სამწუხაროდ ვერ გახერხებთ ხოლმე. გავაქვს უფრო ინდივიდუალური მუშაობა, ვიდრე გუნდული – ეგა ჩვენი პრობლემა. საგალობლების ნოტების ნაწილი მიუნხენის ქართული ეკლესიის მგალობლებმა გამოგვიგზავნეს შტუტგარტის დამწებ მგალობლებს, ნაწილი თბილისიდან, საქართველოს საპატრიარქოდან მოგვაწოდეს. თითო საგალობლის რამოდენიმე გარიანტი არსებობს, უფრო როთული, უფრო ლამაზი. ჩვენს ვცდილობთ სხვადასხვა სქეობები ვისწყლოთ, რათა გაუმრავალფეროვნოთ ჩვენი გალობა.

ჩემი გერმანიაში ცხოვრების „აურზაურში თვეში ერთი ლამაზი დღე მაქვს ხოლმე, როდესაც შტუტგარტში ქართული წირვა ტარდება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეკლესიასთან კავშირი. ყოველი თვის ეს ერთი დღე იმის საშუალებას ძალის მაქვს, რომ ქართულ ეკლესიასთან (და არა დემერთთან თუ რწმენასთან) კავშირი არ გავწყვიტო, ქართული წირვა და გალობა მოვისმინო, ეს მე ძალიან მექმარება.

გურანდა ზარქუა

ეკლესიის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის, იგი მე ძალიან მექმარება ძლიერი ვიყო დღევანდელ რეალურ ცხოვრებაში. ყოველთვის მოსვლას ვერ ვახერხებ ხოლმე, როცა მოვდივარ კი ყოველთვის ბედინერი და ძლიერი მივდივარ ეკლესიიდან. ვიდრე ქართული ეკლესია დაარსდებოდა, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავდიოდით, ახლა დიდ განსხვავებას ვგრძნობ – აქ ქართული სული ტრიალებს. წირვა-ლოცვა ქართულად მიღის, გალობა ქართულია, ქართველიც მეტი მოღის, ყველაფერი ეს უფრო



მეტი ენერგიით გაესქის, უფრო მეტი იმედით, უფრო მეტი ძალა გეძლევა ადამიანს იმისათვის, რომ იბრძოლო ცხოვრებაში და რაღაცას მიაღწიო ღვთის წყალობით.

ლელა ჯლარკაუ

მე რომ ჩამოვედი გერმანიაში ცხრა წლისუკან(ჩრდილოეთგერმანიაში ვიყავი), არცერთი ეკლესია არ იყო მართლმადიდებლური. ამან დიდი ნოსტალგია გამოიწვია ჩემში, თან მბიმე მარხვაში ჩამოვედი, აღდგომა დაემთხვა. სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატავად, თუ რამდენად ბედინერი ვარ იმით, რომ შტუტგარტში ქართული ეკლესია არსებობს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ნუგეშია. საქართველოში ხალხი მენატრება და ლოცვა მაწყნარებს, მამშვიდებს, ღვთის ნებას ვარ მინდობილი. სამი კვირა ეკლესიაში თუ არ მიხვალ, ღვთის მაღლი გცილდება, ამიტომ რუსულ ეკლესიაშიც დავდივართ. იმედია ჩვენი ყოველი ლოცვა შეწევა ჩვენს საქართველოს.

ქეთვან ბაგაშვილი

როგორც მოწმუნე ადამიანს, ეკლესიის გარეშე ცხოვრება მე ვერ წარმომიდგენია. რადგან უცხოეთში ვარ და აქ ქართული ეკლესია არ არის დავდიორ რუსულ, სერბულ ან ბერძნულ ეკლესიებში. ქართული ეკლესია დიდი საჩუქარია ჩემთვის, რადგანაც ქართულ ენაზე წარმოქმული ლოცვა ყველაზე ღრმად შედის გულსა და სულში, გონებას უფრო ღრმად სწვდება ვიდრე უცხო ენაზე შესრულებული. სიმბოლურად ეს ქართული დღეც არის, თავს უფრო მეტად ქართველად ვგრძნობ, საქართველომო რომ ჩახვალ და გიხარია, ისე ვგრძნობ აქ მოსული თავს ამ დღეს.

თვეში ერთხელ ქართველები ვიკრიბებით, ვეზიარებით და ჩვენს მიერ აღვლენილი ლოცვა

ମାର୍ଗତନ୍ତ୍ରିକା

არ იკარგება, მიდის ღმერთან. ჩვენს ერთად ლოცვას უფრო დიდი ძალა აქვს და მეტი სიღრმე. ასე ჩვენ შევწევით ჩვენს თავს და საქართველოს. ჩვენი შეკრუბით ჩვენი ენა, ჩვენი ტრადიციები ნარჩუნდება, მტკიცდება და აღორძინდება – ეს კი უცილესება.

၀၁ ခြန္ဓာရိဝင်

Հուրաձագ ჩյմտցու զշարույլո զբլցեսօն արևեծոճաւ մալուան դուզո մնի՛շնելոն այցեւ հյմի գաճասակյալութան ույ զա՞լիցո, ռողորու հյմտցու այցեւ ամաս դուզո մնի՛շնելոն ասեցուց դուզո մնի՛շնելոն այն էշոնեց զբլցեսօն արևեծոճաւ նյեծու մնի՛շնելոն մոռնվաշնեսատցու, ցանեսակյուտրյան այ, սածըզարցարյու, ռողուց հյենս մովաս ասյ մո՛շորոշեցնեց զարտ օմաս ցոյշրո, ռոմ մամառ համուճու դա յարույլո წորցա-լոռուց պահ մոջու մանու ցոյզել դուլուտ մալաս մմալույն դա մամլույրյան ցոյզելո ցոյքու նածօջչե սայարուցելոն ռոմ դաշերունեցն ալճատ կութա շոյրո և եցանաւ ամաս, ռաւ սամի՛շեարու գայան, այ շոյրո մյելու մյելու մյելու սայարուցելոն մո. մյելու գարց սամօրցայլո հաշույրյու ամ մորոշու մովաս հյմիս սկալույր წօնսցու, ռասաւ սայարուցելոն մովաս հյմիս սկալույր գանցարում.

თემურ გოგალაძე

შტუტგარტში ქართული ეკლესია საშობლოს ნაკლოვანებას გარკვეულწილად გვივხებს, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქართველები ერთად შევიკრიბოთ და ჩვენს ენაზე მოვისმინოთ წირვა-ლოცვა, ჩვენს ენაზე ვადილოთ დმერთი. შტუტგარტში ორი რუსული ეკლესია არის, შესაბამისად, მართლემადიდებლურ წირვა-ლოცვაზე დასწრების საშუალება არსებობს, მაგრამ შშობლიურ ენაზე მოსმენილი, დამეთანხმებით, რომ უფრო ახლოს მოდის ადამიანის გულთან.

რომან ილექტრონული

ძალიან მიხარია, რომ მიუწენდან მამა თამაზი ჩამოის და შტუტგარტში წირვა-ლოცვა ჩემს შობლიურ ენაზე იმართება. აღვნიშნავლი ასევე მამაოს საინტერესო ქადაგებებს. გასახარია ის, რომ გერმანიაში ამდენი ქართველი მარხულობს და ეზიარება, ის, რომ თვის პირველ შაბათს ეკლესიაში ბევრი ქართველი იკრიბება, რომ ერთად ვართ და ერთმანეთში ქართულად ვსაუბრობთ.

ნუკა მდინარაძე

ՀՈՅԱԼ ՃԵԿՎՈՒԹՅԱՆ ՅՆԿՈ Տ Ը Ն Ը

საშობაომსვლელობა “ალილო” გველიტრადიციაა. იგი მაცხოვრის შობასთანაა დაკავშირებული. ღამისთვეების წირვის შემდეგ სასულიერო პირები და მრევლი ხატებით, ბარაზებითა და სანთლებით ხელში ქალაქისა თუ სოფლის ქუჩებში დადიოდნენ და ხალხს მაცხოვრის შობას ახარებდნენ შობის საგაგალობლით. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, უკვე რამდენიმე წელია მაშტაბურად ეწყობა ალილოს მსვლელობა. ჩვენ საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთ წევრს - ხატია მწიოურიძეს გავესაუბრეთ. იგი დაიბადა ქ. თბილისში. 123-ე საშუალო სკოლის დამთვრების შემდეგ სწავლობდა თსუს ისტორიის ფაკულტეტის ბაკალავრიატში, შემდგომ ამავე უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

ზატია რამდენი ზანია რაც ალილოს მსვლელობაში
იღებ მონაწილეობას?

ჯერ კიდევ უნივერსტეტში სწავლის ღროს გიღებდი სტუდენტთა ერთ ჯგუფთან ერთად მონაწილეობას სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. მათ შორის იყო საშობაო მსვლელობა ალილოზე რომელიც მთლიანად სტუდენტთა ორგანიზებით და საქართველოს საპატირიარქოს მხარდაჭერით და



შოთა რეზნიჩის მიერთვის დღი, 2008 წ.



ხელშეწყობით ეწყობოდა.

**დიდი ხანია რაც თბილისში
ალილოს მსელელობა არსებობს?**

ტრადიციულად ალილო
საქართველოში შუა
საუკუნეებიდან აღინიშნება. 2000
წელს საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქის ილია II ის ლოცვა
კურთხევით ეს ტრადიცია აღსდგა
და მას მერე ყოველ წელს თბილისში
მასშტაბურად აღინიშნება.
მსელობა იწყება ქალაქის
სხვადასხვა უბნიდან და მთავრება
სამეცნიერო საკათედრო ტაძარში.

სადაც უწმინდესი და უნეტარესი
საშობაო პარაკლისს აღავლენს.
მსელელობაში მონაწილეობას
იღებენ ბავშვები, სტუდენტები,
სასულიერო პირები და მრევლის
წევრები. საორგანიზაციო
ჯგუფის წევრები ყოველ წელს
კცდილობთ, რომ რაღაც ახალი
ელემენტი შემოიტანოთ ამ
ულამაზეს მსელელობაში.
ყველანი შემოისლები არიან
თეორი შესამოსლით, ბაირადებით
ხელში. მსელელობას თან დაყვება
ურემში შებმული ხარ-კამეჩები
საჩუქრების შესაგროვებლად.
ხალხს ურიგდება საშობაო

მისალოცები.

**ყველაზე მეტად რომელ
ალილოს გამოარჩევდი?**

ყველაზე მეტად წელს
ჩატარებულ ალილოს გამოვარ-
ჩევდი. მაგალითად, ძალიან
ლამაზი იყო მსახიობების
ჩართვა მოგვებისა და მწყემსების
ფორმებით. განსაკუთრებით
ლამაზები იყვნენ ანგელოზების
შესამოსლებში გამოწყობილი
პატარაბავშვები რომლებიც მთელს
მსელელობას წინ მიუძღვნენ.
აქვე იყო უზარმაზარი სპილო,
კუ და სხვადასხვა ცხოველები.
კიდევ ერთხელ აღვნიშნავ რომ
თეატრალიზება ძალიან მოუხდა
ალილოს.

**შენი აზრით რა არის ალილოს
მიზანი?**

ალილოს მთავარი დატვირთვა
ქველმოქმედებაა. მსელელობისას
მთელი თბილისის მოსახლეობა
აგროვებს საჩუქრებს და
ამას ალილოს მონაწილეებს
გადასცემენ, ხოლო ალილოს
ორგანიზატორები ამ საჩუქრებს
მიუსაფარ ბავშვთა სახლებს და
მოხუცებულთა თავშესაფრებს
გადასცემს.

ჩემთვის ყველაზე საყვარელი
მომენტი არის საჩუქრების
დახარისხების და შეფუთვის
პროცესი, წარმოიდგინეთ სტუ-
დენტები რომლებიც ფერად
ფერად ყუთებში ლამაზად ფუთავენ
საჩუქრებს და უპატრონო ბავშვებს
ურიგებენ. ჩემით თავი მულტფილმის
გმირი, კეთილი ელბი მგონია.

ვეთანხმები ხატას, რამდენიმე
წლის უნკან მეც ვიღებდი
მონაწილეობას ალილოში. მის
ორგანიზებას უამრავი დრო და
ენერგია სჭირდება. მსელელობის
დამთავრების შემდეგ უკანასკნელი
ენერგიით ვახარისხებდით
შეგროვებულ საჩუქრებს,
ტანსაცმელებსა თუ სათამაშოებს.
შემდეგ კი სხვადასხვა ბავშვთა
სახლებში მიგვქონდა, თან
მოძღვარი დაგვვევებოდა და
საშობაო პარაკლისს იხდიდა.
მომვლელები გვიყვებოდნენ, თუ
როგორ უხაროდათ ბავშვებს
როგორ ეშადებოდნენ ჩვენი
მისელისთვის. არასოდეს
დამავიწყდება პატარა ბავშვების
მომლიმარი სახეები.


ნანა ბურჭულაძე

ტაძრად მიყვანება უფლისა ჩვენისა იხსო ქრისტესი

„ამიტების როგორც უკონი. შოთაწევ ხელი იმიზნი არყოფნას ბეჭისთ. შოთ ხელს უწი ართობ ნაშროვად მაგრამ არიან იხსო როგორც უკონი. შოთაწევ ხელი იმიზნი უწი გვანისა. შოთ გული ან მარტინის ხაული ან ბრძოლა მანის როგორც უკონი იმიზნ ან ნიშან არისანისა?“ - ამიტო ცირის

მოსეს სჯულის მიხედვით ქალი, რომელიც მამრობითი სქესის ყრმას შობდა, არამინდად ითვლებოდა და ორმოცი დღის განმავლობაში საყოველთაო დვითის სახურებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ახალშობილი შობიდან მეორმოცე დღეს ტაძარში უნდა წაეყვანათ და დვითის თვის მსხვერპლი შეეწირათ. ქალწულმა მარიამმა დადგენილ წესს არ გადაუხვია; ორმოცი დღის შემდეგ მაცხოვრით ხელში და იოსების თანხლებით ტაძარში შევიდა. ამ დროს სულიწმინდის შთავონებით ტაძარში მოხუცებული სვიმეონი მოვიდა, მაცხოვრის დანახვისას მისკენ შემაზილით გაიქცა: „გზა მომეცით, რაითა მივეახლო წმინდასა მას და სასურველსა და ვიზილო, რომელსა იყო წინაითვე ვუზილავ! დედანო, (ტაძარში მრავალი ქალი იყო, თავიანთი ახლშობილი ყრმებით) საკურთხეველისაკენ“ რომ მიგყავთ თქვენი პირველშობილი, მიკვარეთ ამ ყრმას, რომელი უწინარეს აბრაამისა არს და მსხნელია ისრაელისა! “დვითის მშობელს კრძალვით მიუახლოვდა და ყრმა იესო მიირევა. ამიტომაც უწინდებენ მას სვიმეონ დვითის მირმექელს. გახარებულმა მოხუცმა განადიდა დმერთი და წარმოსთქვა: „აქ განუტევე მონაი შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი... აქ განუტევე, უფალო, რამეთუ მრავალი ტკიფილი განუცდა შენს მოლოდინში, შენი ხილვით გამოწეულ სიხარულში განუტევე, უფალო, და ნუ აცქერინებ ჰურიათა მიერ შენ

ზედა კადრებას.. ნუმცა ვიზილავ გვირგვინსა მას ეკლისასა... ნუცა ლახვარსა გვერდსა შენსა ცემულს ვიზილავ.. განმიტევე, უფალო, რაითა წარვიდე და გახარო ძველი აღთქმის მართალთ... შენი მობრძანება“.



წმინდა წერილი სვიმეონის შესახებ გვამცნობს „კაცი მართალი და დვითის მოსახი, ისრაელის პირმშორ“. ასევე არსებობს გადმოცემა რომ ის თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განსწავლული კაცი იყო. მისი მოღვაწეობის დროს, ეგვიპტის განმგებელმა, პლოტემოს ფილადელფოსმა თავი ისივე დაარსებული ალექსანდრიის ბიბილიოთეკის გასამდიდრებლად გადაწყვიტა იუდეველების სიბრძნითა და სიწმინდით სატე მრავალი წიგნი ბერძნულად ეთარგმნა. ამისათვის იერუსალიმში, მღვდელმთავარ ელეაზარს სთხოვა მისთვის საღმრთო წიგნები და სჯულის

მეცნიერნი, რომლებიც მათ ბერძნულ ენაზე თარგმნას შეძლებდნენ. სამოცდათორმეტმა ღირსება მამამ თარგმნა წმინდა წერილი. ღირსება მამათ შორის იყო წმინდა სვიმეონი, რომელსაც ესაა წინასტარმეტყველის წიგნის თარგმნა ერგო. ღირსება მამა ღვთის მოშიშებით შეუდგა საქმეს. ძალიან გაკვირვებული დარჩა როცა წაიკითხა: „აპა ესერა, მიუდგეს ქალწული და შვეს ძე? გაიფიქრა: „როგორ შეიძლება ქალწულმა შობოს ყრმაო“ და გადაწყვიტა ამოეშალა სიტყვა „ქალწული“, და მის ნაცვლად „დედაკაცი“ ჩაქრია. ამ დროს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და ამცნო, რომ დაეჯვრებინა წანაკითხი და მანამ იცოცხლებდა სანამ საკუთარი თვალით არ იხილავდა ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს. მრავალმა ათწლეულმა განვლო, სანამ წმინდა სვიმეონს ისევ არ გამოეცხადა უფლის ანგელოზი და არ აუწყა: „აღდეგ, მოხუცებულო, რად პზი? აღდეგ და მირბიოდეტაძრად, რამეთუ მოვიდა გამტევებული შენი. განაგე სახლი შენი და განპშხადე სამკვიდრო შენი რამეთუ მოწევნულ არს უამი შენი და წინასწარმეტყველებად ტაძარსა მას შინა“.

...წმინდა სვიმეონმა მშობლებიც აკურთხა, ხოლო წმინდა მარიამს მაცხოვარი ხელში მიაწოდა და უთხრა: „აპა, ესერა დაცემად და აღდეგინებად მრავალთა ისრაელთა შორის... და თვით შენსა სულსა განვიდეს მახვილ, რათა განცხადეს მრავალთაგან გულის ზრახვანი“. ყრმა იესოს მიეახლა და თყვანი სცა წმინდა

ანაც, ფანეულის ასული, ოთხმოცდაათი წლის ქვრივი, მხოლოდ შვიდი წელი იცხოვრა ქმართან და მისი გარდაცვალების შემდეგ ტაძარს არ გასცილებია. ლოცვასა და მარხვაში ელოდა ისრაელის მეუჯეს. წმინდა სვიმეონი მალევე გარდაიცვალა, ასევე მალე აღესრულა წმინდა ანაც.

ქართული მაღალმადიდებლური ეკლესი მაცხოვრის მირქმას 15 თებერვალს დღესასწაულობს.

ნანა ბურჭულაძე

ცხრილი საკულტო კალენდარი (თრიტზალი-მარცი)

- | | |
|---|--|
| 25.02.2008. ივერიის ღვთისმშობლის დღესასწაული. | 04.03. წენება: წმინდისა გრიგოლ პალამასი. |
| 27.02. წენება: ღისრისა ილარიონ ქარველისა. | 03.03 – 09.03 ყველიერის კვირა. |
| 02.03. წენება: ღირსმოწმისა თევდორე აჭარელისა. | 10.03. დასაწყისი დიდი მარხვისა. |
| 03.03. წენება: წმინდა ნიკოლოზ კათალიკოსისა. | |

11 წლის საკულტო ჩრდილოები “შჩელკუნჩივის” ლაზეტვაცი განხვდა

მოსკოვის კლასიკური მუსიკასა ერთაშორისო VIII საბავშვო კონკურსზე “შჩელკუნჩივი 2007”, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 60-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, 11 წლის ქართველმა პიანისტმა სალომე ქორდანიამ მეორე პრემია და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

“შჩელკუნჩივი” სატელევიზიო არხ “TV-კულტურას” მიერ ორგანიზებული კონკურსია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიულ საბავშვო ღონისძიებად ითვლება და მასში მონაწილეობას იღებენ ვრცელის, ამერიკის, აზიასა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების 9-დან 13 წლამდე ასაკის პატარა მუსიკოსები. კონკურსს აშენებს “TV-კულტურა”, ხოლო დასკვნითი კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია ინტერნეტითაც ხდება.

წლევანდელ კონკურსს პრესტიულობა ეიურიმაც შესძინა. ასე მაგალითად, საფორტეპიანო განყოფილებასაფასებდნენმოსკოვის კონსერვატორიის პროფესორები არ კადი სევილუი, ანდრეი დივივი და მიხეილ ხოხლოვი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, გარდა საფორტეპიანო განყოფილებისა კონკურსი ტარდებოდა სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყეამი ინსტრუმენტების განყოფილებაშიც. მოსკოვში მიწვევული იყო 48 პატარა მუსიკოსი (16-16 სამივე განყოფილებიდან).

როგორც სალომეს მამამ, თბილისის

ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორმა გიორგი ჟორდანიამ გვითხრა, კონკურსანტთა შერჩევა ვიდეო ჩანაწერებით ხდება და სალომე საერთო ჯამში 200 კონკურსში მონაწილეობის მსურველთა შორის შეირჩა. კონკურსი სამ ტურად ჩატარდა. პირველი და მეორე ტური - “მოსკოვის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში”, ხოლო მესამე, დასკვნითი კონცერტი, მოსკოვის “მუსიკის სახლის” ე. სვეტლანოვის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა.

საფორტეპიანო განყოფილებაში პირველი პრემია არ გაცემულა, ხოლო მეორე პრემია სალომე ქორდანიამ 13 წლის მოსკოველ იულია ვანიუშინასთან გაიყო. წლევანდელ “შჩელკუნჩივში” საქართველოდან მხოლოდ სალომე იყო მიწვევული და აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოდან წინა წლებში წასული მოსწავლეებიდან იყო პირველი დაბრუნდა სამშობლოში ლაურეატის წოდებით ხელდამშვენებული.

გიორგი ქორდანია: “ფინალურ კონცერტში კონკურსანტებს აკომპანიმენტს უკეთებდა გ. საბივაკოვის ორკესტრი “მოსკოვის ვირტუოზები”, რომელსაც დირიჟორობდა მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი დირიჟორი საულეუს სონდეკციის, რომელმაც შემდგომ ჩვენთან პირად საუბარში აღნიშნა: “დაკვრის დროს სალომეს დირიჟორთან კონტაქტირების განსაკუთრებული უნარი აქვს. მოგეხსენებათ, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ

ქართული



ამერიკელი, კორელი, გერმანელი, ბერძენი, ჩინელი, ყაზახი, ბელორუსი, და რუსი პიანისტები. საერთოდ კი, როგორც მუსიკოსები, აუცილებლად უნდა აღვნიშნო კონკურსის თექვსმეტივე მონაწილის კარგი ტექნიკური თუ ფსიქოლოგიური მოშზადება. სალომე აღმოჩნდა ერთადერთი არა რუსი, რომელიც კონკურსის ფინალამდე გავიდა.” კონკურსზე მან შეასრულა: შუმანის “II რომანი” და არენსკის “სიმინორული ეტიუდი”, ასევე შოპენის “ბრწყინვალე ვარიაციები” და ბახის “ფა-მინორული კონცერტი.”

რაც შექება პატარა პიანისტის ემციურ დაძაბულობას, როგორც თვითონ გვითხრა, იგი მხოლოდ დაკვრის დაწყებამდე ნერვიულობს, მერე კი ყველაფერი ავიწყდება, რითაც ძალიან პგავს თავის სახელოვან ბაბუას და მამას. სალომე ამჯერად იმის გამოც ღელავდა, რომ თან არ ახლდა თავისი პედაგოგი ნატა ნაცვლიშვილი, რომელსაც თავის ყოველ წარმატებას უმაღლის. წარმატებები კი, ასაკის მიუხედავად, სალომეს მართლაც რომ შთამბეჭდავი აქვს. მას უკვე არაერთი სოლო კონცერტი აქვს ჩატარებული და რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრემიის მფლობელია. როგორც სალომე აღნიშნა, 2007 წელი მისთვის განსაკუთრებით წარმატებული გახლდათ: იგი აპრილში ჩატარებულ საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა მე-4 ეროვნულ კონკურსზე, კონკურსგარეშე მონაწილე ბავშვთა შორის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა და საჩვენებელ კონცერტში მონაწილეობა მიიღო, ხოლო მაისში ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მე-3 საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა და I პრემია დაიმსახურა. მაისშივე საერთაშორისო ფონდი “ახალი სახეების” (რუსეთი) მიერ ჩატარდა სრულიად საქალაქო მუსიკალური სკოლების მოსწავლეთა მოსმენა-კონკურსი, სადაც ასევე გამარჯვება მოიპოვა, გახდა ფონდის სტიპენდიანტი და იღლისში ორი კვირით მიწვეულ იქნა ქალაქ სუზდალის საზაფხულო სკოლაში.

პატარა სალომეს სულ მაღე კვლავ ელის მოსკოვში წასვლა, პროფესორმა ხოხლოვმა იგი მიიწვია ბავშვთა სამუსიკო ფესტივალზე “Январские вечера”, რომელიც სახელწოდების შესაბამისად, იანვრის თვეში იმართება და ცნობილი “Декабрьские вечера” ერთგარი ანალოგია პატარებისთვის, ხოლო 2008 წლის აპრილში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვ. სპივაკოვის საქელმოქმედო ფონდის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე “მოსკოვი ხვდება მეცნიერებს.”

სალომეს მშობლები, ისევე როგორც მისი ბებია და ბაბუა მუსიკოსები არიან:

დედა - ნინო ქაჯაია თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელია; მამა - გიორგი ცნობილი დირიჟორია, ამჟამად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოღვაწეობს.

ბებია - ნანა ასკურავა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგი, ხოლო ბაბუა კი მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი გახტანგ უორდანია გახლდათ, რომელიც ორი წლის წინათ გარდაიცვალა ამერიკაში. მისი სახელობის საერთაშორისო სადირიჟორო კონკურსი დღემდე ყოველწლიურად იმართება ქ. ჩატანუგაში, ტენესი, აშშ.

სალომეს თავისი პირველი საგასტროლო მოგზაურობა ჯერ კიდევ 2 წლის წინ პქონდა უკრაინაში, როდესაც ვახტანგ უორდანიას ხსოვნისადმი მიღვნილ კონცერტში მამასთან ერთად დაუკრა ქ. ხარკოვის სიმფონიურ ორკესტრან ერთად.

ჩვენთან საუბარში სალომემ აღნიშნა, რომ ძალიან დარდობს, რადგან ბაბუასთან დაკვრა ვერ მოასწორ. ჯერ კიდევ მეორე კლასელი სალომეს სოლო კონცერტის მოსმენის შემდეგ ბაბუას უწინასწარმეტებელია: პიანისტი გვეზრდება ოჯახში, რომელიც უთუოდ კარგი მუსიკის უნდა დადგესო.

ნინო ხაბელაშვილი





„ქორეგია ჯაშს, ნამდვილა ჯაშს, გორდი
ქორეგიას შეს ეწე იუჟებს ეწინის. ჩახა
ომ ეწინა“

გრიგორ ჩოხაძე

ჩვენ მარტო „ერისონი“ კი არ გვიყვარს, ამისიონიც გვიყვარს და იმისიონიც, მაგრამ ის რაც ჩვენია მაინც სხვანაირად გვეამაყება და გვეჩვენება. პოდა, ხანდახან იქნება ისიც გვეჩვენება, რომ „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. თუმცა, მე მეტყვება ეს და მგონი ამაში „ერისიონის“ კონცერზე მოსული გერმანელი თუ არაგერმანელი უცხოელებიც დარწმუნდნენ. დაუკრეს „არწივების ასაფრენი“ და არც მოცეკვავების გაჩერება იყო და აღარც კონცერტის დამსწრეთა ტაშის. სად იყავით, ღმერთი რომ გაგახარებთ, აქამდე? ლამის იყო გერმანიაში ქართველებმა საუკეთესო მოსამსახურების სახელი გაფითქმით. აქაც საუკუთხესო, რა თქმა უნდა, მაგრამ სტატუსი, სტატუსად რომ არ ვარგა მასში საუკეთესობა ვის რად უნდა?

ეს ისე და ასეთი ცეცხლი, გრიგალი თუ ვინც რა უნდა ის დაარქვას, მეტყვება ძალიან ხშირად ენახოს გერმანელი თუატრის სცენას მიუწენში. ატყდა ცერების ტრიალი, ხმლების წკრიალი და ნაცერწკლების წვიმა გაცხელებული ლითონიდან და ქართველი მოცეკვავების თვალებიდან. რასაც დამსწრეთა ჯერ შეშინებული, მერე გაოცებული და ბოლოს აღფრთვანებად ქცეული ემოცია მოყვა. კონცერტის ბოლოს ჩვენი გერმანელი მეგობრები კითხულობდნენ, ყველა ქართველი მამაკაცი ასეთი ცეცხლოვანი და მოქნილია, ყველა ქართველი ქალი კი ასეთი ნაზი და ნარნარით მავალიო? ეს გენში გვაქს და სხვანაირად არც გამოგვდისო, ამაყად გვასუხობდით. ადრე ერთმა მოხუცმა და ქართველ

კულტურაში კარგად გათვითცნობიერებულმა გერმანელმა მითხრა, ევროპას ნამდვილად არ აწყენდა ისეთი კულტურით მონათვლა, როგორიც ქართველებს გაქვთო. დაეჯერება იმ კაცს ნამდვილად და ჩვენც ვიხდით ჩვენს ვალს კაცობრიობის წინაშე. ცეკვას ცეკვა უნდა და რასასა რომ ყოფნით, აი იმ ქართველებს მინდა შეგახვედროთ ჩვენს ფურცლებზე. ირაკლი სარალიძე, ოთარ (ოთო) ბალდოშვილი, ბექა კაპანაძე და ემზარ ბაშარაული, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ქართველებისა, ქართულ ფოლქლორს ხელის გულზე დადებულს რომ დაატარებენ მსოფლიოში. მათი დევიზი ასეთია: „ჩვენ თქვენი და ჩვენი სიამოუნებისთვის ვცეკავთ და თქვენ რომ გახარებთ, ის გვიხარია“.

-რამდენადგანს სხვაგებულადემზადებით საზღვარგარეთ ცეკვასთვის? და თუ არის სხვაობა იმას შორის, საქართველოში ცეკვაზთ თუ უცხოეთში?

- (ირაკლი) ცეკვის თვალსაზრისით სხვაობა არაა, სცენაზე ხარ და ცეკვაზ ერთი ისაა, რომ საქართველოში ყველა მოცეკვავე და მომდერალია, კრიტიკის თვალით გიყურებენ და პასუხისმგებლობაც მეტია. ამიტომ, საზღვარგარეთ უფრო თვეისუფლად ცეკვავ, ვიდრე შენს ქვეყანაში.

- მაშინაც როცა ქართველები გიყურებენ?

- არასდროს არ ვფიქრობ იმაზე, რომ აქ კარგად ვიცეკვებ და იქ ცეცხად, აკადემიური ანსამბლია და ვცეკავთ. თუმცა საზგვარგარეთ რომ გვესმის, რომ ქართველები მოდიან კოცერტზე, მთელ სულს და გულს ვდებთ მაშინ. ისედაც, მაგრამ

ქართული

ქართველებისთვის ემოციურად მაინც სხვანაირად ვემზადებით და ბოლომდე ვიზარჯებით.

- და როცა ხედავთ, რომ თქვენ უცხოეთში მყოფ ქართველებს განსაკუთრებით ასიამოვნეთ, რას გრძნობთ?

- ქართველებს რომ უხარიათ, ჩვენ ეს ძალიან გვიზარია. თქვენ რომ ისედაც მოგწონთ და გიყვართ ვიცით, მაგრამ გერმანიაში თუ ჩამოვდივართ გასტროლებზე, გვინდა, რომ ამ ხალხს მოგწონოთ. მაყურებელი აქ ძალიან კარგი იყო, ტაში და მუხტი მოდიოდა. მე როცა გავცემ ენერგიას, მაყურებლის მხრიდანაც მინდა მივიღო და ეს იყო აქ.

- ყოველთვის ხართ ცეკვის განწყობაზე?

- არა, მაგრამ არის საკონცერტო განწყობა. საკეცვაო და საკონცერტო განწყობა განსხვავდება ერთმანეთისგან. რეპეტიციაზე ერთ დეტალზე საათები ვგარჯიშობთ და ამიტომ ცოტა დამღლელია. კონცერტის დროს ყველაფერი მოწერიგებულია და ეს სხვა განწყობას ქმნის. ამიტომ კონცერზე ცეკვა კიდევ სხვა რამეა.

- კიდევ არის რამე განსაკუთრებული, რის გამოც ზოგჯერ უფრო კარგად ცეკვაზ?

- ცოცხალი ადამიანი ყოველთვის ერთნაირად ვერ იცეკვებს, ხან კარგად ვცეკვაზ და ხან ნაკლებად კარგად, მაგრამ, კონცერტს ბევრი გოგო როცა ესწრება მიზარია. ამ დროს უფრო მაგრად თუ არ ვცეკვაზ უფრო მაგრად ვიპრანჭები მაინც.

- რას ნიშნავს ცეკვა თქვენთვის?

- კი ვცეკვაზ, მაგრამ ამის გარდა სხვა ცხოვრებითაც ხომ ცეხოვრობ? არის კიდევ რაღაც, რაზეც ფიქრობ ან გაწუხებს. როცა ვცეკვაზ, არავინ და არაფერი არ მახსოვს და არ მაწუხებს. ყველაფერი მავიწყდება და ვცეკვაზ.

- მაშინ რაღა გინდა გიყვარს, გამოგდის და პრობლემებს გავიწყებს. ადექი და შენც სულ იციდებ.

- გამორიცხულია ყოველდღე ერთნაირად ალაგარღინილი ცეკვაზ, მაგალითად ზამთარში, ძალიან მეზარება ადგომა და რეპეტიციაზე წასვლა, ხან ვიღლლები ამდენი კონცერტით, მაგრამ ერთი დღეც რომ არ ვიცეკვაზ, უკვე მენატრება.

- თუ არ იცეკვებდი რას გააკუთხდი?

- კარგი მაყურებელი ვიქნებოდი. კარგი მაყურებელიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კარგი მოცეკაფე. ჩვენ მაყურებელის გარეშე არაფერი ვართ. ჩვენ ვცემავთ ჩვენი და ოქენი სიამოვნებისთვის, ბუნებრივია, ჯერ მე უნდა მსიამოვნებდეს, რომ სხვას ვასიამვნო. მაგრამ თუ მაყურებელი არ გყავს, ალარც შენ გსიამოვნებს.

- ოთვ შენთვის რა არის ცეკვა?

- ყველაფერი.

- რას გრძნობ როცა ცეკვა?

- ვერაფერს. მე ვცხოვრობ იმით რომ ვცეკვაზ.

- ყველაზე დიდი სიამოვნებით რას ცეკვაზ?

- დიდი სიამოვნებით ვცეკვაზ ყველაფერს და ყველა ცეკვას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ განსაკუთრებით აჭარული მიყვარს.

- (ირაკლი) აჭარული და მთიულური.

- როდის და როგორ გადაწყვიტეთ რომ გეცეპათ?

- (ირაკლი) ჩემს ოჯახში ტდაციციაა ცეკვა და სიმღერა. ბებია მღერის, მამა ანსამბლში მღეროდა, ახლა ანსამბლის გარეშე მღერის. ჩვენც, ბავშვები რომ ვიყავით, გასწავლიდნენ და ვმღეროდით. ცეკვითაც სამივე ძმა ვცეკვავდით. ბოლომდე მე შემოვრჩი.

- (ოთო) 6 წლიდან ვცეკვავ, შშობელები მოცეკვავები არიან, ძმა მუსიკოსი. სხვა პროფესიაზე არც მე მიიღირია. ჩავთვალე, რომ ამაზე უკეთეს გერაფერს გავაკეთებდი. ჩავაბარე კულტურის ინსტიტუტში, ქორეოგრაფიის ფაკულტეტზე, და ჩემი პროფესიაც ეს გახდა. ორი წელია „ერისონში“ ვარ, მანამდე „როგოში“ ვცეკვავდი და კიდევ დიდი ხანი ვაპირებ ვიცეკვო.

- რას გააკუთხეთ როცა აღარ იცეკვებთ?

- ჩემს ემოციას და ცოდნას სხვებს გადავცემ, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები იყონ. ჩვენი ქვენისთვის ასე ჯობია. პრინციპში, ამის კეთება უკვე დავიწყეთ, იმით, რომ ბავშვებს ვამეცადინებთ.

- რას გააკუთხებდი თუ არ იცეკვებდი?

- ვერ ვიტყვი, რომ ცეკვის გარდა სხვა რამეს გავაკეთებდი. ჩანაცემელებით ამ გადმოსახელიდან გერაფერი ვერ ჩანაცემელებს ჩემთვის ცეკვას. ვიცეკვებდი.

- კიდევ რა გიყვართ?

- (ირაკლი) დროს ტარება მიყვარს ძალიან, მაგრამ დროს ტარება ისეთი, სადაც ქართული ცეკვა და სიმღერა გამოიყენება.

- რამე განსახუთრებული გრძნობა გაქვთ, რომ



- (ირაკლი) როგორია და ამაყი ვარ, რომ ჩემი ქვეყნის საქმეს ვაკეთებ და იმას, რაც ასე ძალიან მიყვარს. ამასთან ერთად, ჩვენი ხალხი აფასებს ამ საქმიანობას. საქართველოში ცეკვაზე და სიმღერაზე მეტად არაფერს აფასებენ.

- (ოთო) თვითონულ ქართულ ცეკვაში არის აღწერილი ქართველი ხალხის ცხოვრება, შენ ყვები ამას და ხალხი ისმენს, ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთო?

- (ირაკლი) კიდევ ის, რომ მეამაყება ქართველი ვარ და ქართული ჩოხა მაცვია. მართალია, სულ ჩოხით არ დავდივარ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემ ცხოვრებაში უფრო მეტი ჩოხა და ახალუხი მაცვია ვიღრე ჯინსი.

- რა შევრძნებაა ჩოხაში ყოფნა?

- (ირაკლი) როცა ჩოხა გაცვია უფრო კექლუცი ხარ, შეუპოვარი და დარბაისელი.

- ჩოხაში რომ დარბაისლები ხართ გასაგებია, მაგრამ ზოგადადაც თუ მოახდინა თქვენი ხასიათის და ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენა ჩოხამ?

- (ირაკლი) ვთვლი, რომ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. თუნდაც სიარული რომ ავიღოთ, როცა ჩოხაში იზრდები, რაც არ უნდა „კაპიშონიანი“ ჩაიცემა მოჩაჩული ვერ გაივლი და „ისეც“ ვერ მოვიქცევი. მე ამით ვცხოვრობ, ასე ზის ჩემში. დილა ამითი იწყება და ამით მთავრდება. ჩოხა ჩემია უკვე და მარტო მაშინ კი არ მაცვია, როცა მაცვია, სულ მაცვია და მეცმება.

- ოთო რას გვეტყოდა?

- (ირაკლი არ აცდის) მე როცა მაცვია აჭარულის ფორმა ამასაც აცვია აჭარულის ფორმა, მე როცა



მაცვია მთიულური ამასაც აცვია მთიულური, მე თუ მაცვია ჯინსი ამასაც აცვია ჯინსი, ასე რომ ოთოსთანაც ზუსტად ასე უნდა იყოს.

- როგორია დღეს ქართული ფოლკლორისადმი დამკიდებულება საქართველოში?

- (ირაკლი) საქართველოში უამრავი ბავშვი დადის ცეკვაზე და სიმღერაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავშენდებით და კიდევ იმას, რომ ქართულ ცეკვას და სიმღერას ქართველები არ დაივიწყებენ.

ბექა და ემზარი აერობორტში მოვიხელთუ და უფრო წინასამგზავრო განწყობით დაგინტერუსდი.

- რა მოგონებები მიგაქვთ მიუნხენიდან?

- (ბექა) მოგონებაში ბევრი რამე დამრჩა, მეგობრები გავიჩინეთ, ამზელა ქვეყანაში ის საქმე გაყაკეთოთ, რისთვისაც მოვდიოდით და მგონი კარგადაც. ის ხელოვნება ვაჩვენეთ გერმანელებს, რითაც ასეთი ამაცები ვართ.

- რა ემოციით ტოვებთ გერმანიას?

- ამას საქართველოში უკეთესად გავიაზრებთ. თვითონ კონცერტები, სხვა კონცერტებისგან ბევრად განსხვავებული არ ყოფილა, მაგრამ ემოციურად ძალიან დატვირთული იყო. რასაც ვაძლევდით მაყურელებელს ორმაგად ვიღებდით უკან.

- ანუ, თვლი, რომ გერმანელ მაყურებლამდე ისევე კარგად მოვიდა თქვენი ცეკვა, როგორც ქართველამდე?

- ქართველი რომ ამას გაიგებს, ისე სხვა ვერ გაიგებს. შეიძლება სხვა გააკვირვო, მოაწონო და დააინტერუსო ამით. ეს იყო ჩვენი მიზანიც და მგონი შევასრულეთ.

- შენ რას გრძნობ გამგზავრების წინ?

- (ემზარი) მიხარია, რომ ორი კვირის შემდეგ საქართველოში ვბრუნდები, მაგრამ თან არ მინდა წასკლა. ყველაფერი რაღაც ძალიან ლამაზი და კარგი იყო. მიუნხენი და ეს კონცერტები დიდ მოგონებად დარჩება ჩემთვის და არასოდეს დამავიწყდება. მიუხედავად იმისა, რომ მცირე შემადგენლობით ვიყავით და სცენაც პატარა იყო, საბოლოო ჯამში ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მე სხვა კონცერტებზე არ მახსოვს, რომ ასე ხშირად მოეთხოვოთ ცეკვის გამეორება.

- კიდევ რა დაგრჩა კარგად მქანიერებაში?

- ალიანს არენა და ლამაზი მოგონებები.

თინათინ ჩითინაშვილი

ცხა

„The Shin“ მაუნტენანი

ზაზამიმინოშვილი (გიტარა, ფანდური), ზურაბ გაგნიძე (ელექტრონული და აკუსტიკური ბასი, ვოკალი), მამუკა ღალანიძე (ვოკალი, პერკუსია), ფანდური სახელად „ბებო“ (მქონდა პატივი საკუთარი ხელით ჩამებრძნებინა, მისთვის საპატიოდ გამოყოფილ მანქანის უკანა საგარდელში), ელექტრო გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტი, სამხმიანი ქართული სიმღერა, ბევრი გრძნობა, დიდი სიყვარული და ცოტაც ჯაზი. სულ ესაა, რითაც ჯგუფმა „The Shin“ გერმანიადა არა მარტო გერმანია მოაჯადოვა. მუსიკა, რომელიც ასე მონატრებულ შინ ყოფნის შეგრძნებას გიბრუნებს. რომ არ გეცეკვებოდეს, აგაცეკვებს, რომ არ გემღერებოდეს, აგამღერებს და ქართული სულ რომ არ იცოდე, მაინც მიხვდები, რომ ყველა სიმღერის აზრი და სუნთქვა სიყვარულია. ცოტა გაიკვირვეს გერმანელებმა ეს ქართველები სულ ასე სიყვარულზე როგორ მღერითო? ხოო-თქო, ჩვენ ვუთხარით, თქვენ ჩვენთან, შინ უნდა ნახოთო. დაიჯერეს. ეს შინი თუ ამას შევრება ის შინი რაღას იზამსო. არაერთ ჯაზ ფესტივალზე გამარჯვებულ ჯგუფს, კიდევ ერთი გამარჯვება, მიუნხენში 17 თებერვალს ხვდა წილად, ამჯერად ჯილდო, მხოლოდ ტაში და აღფრთვანების შეძახილები იყო. კარგად მოფიქრებული იმპროვიზაცია, გულწრფელი შესრულება, ხმიდან და საკრავი ინსტრუმენტებიდან წამოსული სითბო, ესაა რაც განსაკუთრებით ზიბლავს მსმენელს. ზუსტად ის რაც ასე აკლია, უცხოეთში მყოფ ქართველს და რასაც იგი შინ მიჰყავს. „იყო არ იყო, იყო არ იყო... მრავალუამიეროოო... დილა ვოდილა და... ჰარნა ნინა ნინაო...“ ტექსტი ესაა, შესრულება... ვრცელი თემაა და მხოლოდ პროფესიონალი გეტყვით ზუსტად რას აკეთებენ ჯგუფის წევრები ამ დროს. ჩვენ, რიგითი მსმენელები ყველა ერთად და ერთნაირად მივყართ საქართველოში, თბილ კერას გვაზუტებს და კვლავაც შინ დაბრუნებას გვპირდება.

თინათინ ჩითინაშვილი



„qarTul i“ eZefs JUrnal Tan TanamSroml obis msurvel ebs. presaSi muSaobis
gamocdil eba sasurvel ia, Tumca ar a aucil ebel i. TanamSroml oba xorciel deba
sazogadoebri v sawyi sebze.
dainterebul pi rebs gTxovT dagvikavSir deTe l . fostiT mi samarTze:
qartuli@satvistomo.de

„დავით გურამიშვილი“ პირველი ქართული მხატვრული ფილმია, რომელიც საზღვარგარეთ გავიდა. ცნობილი რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი ამ შესანიშნავ სურათს ომის წლებში იღებდა, ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) ბლოკადის მოხსნის შემდეგ. ლეგენდარულმა მსახიობმა, ქალბატონმა დოდო ჭიჭინაძემ ამ ფილმში დავით გურამიშვილის სატრუქოს – ქეთევანის როლი შეასრულა. ეს იყო მისი დებიუტი ქართულ კინოში.

- ეს იყო პირველი ქართული ფილმი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ გაიტანეს. უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ურთულეს პერიოდში ვიღებდით, ომის დროს, ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) ბლოკადა ახალი მოხსნილი იყო. აქედან თვითმფრინავით ჩავედით, ეს, რა თქმა უნდა, სარისკო იყო, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხომ ომი მძვინვარებდა. ფილმის გადაღებისთვის გამოყოფილი იყო ცხრა მილიონი მანეთი. საჭირო იყო როტული და მდიდრული დეკორაციების გაკეთება, იმ დარბაზის

მოწყობა, სადაც რუსეთის მეფეს უნდა მიედო საქართველოდან ჩასული სტუმრები, მეფე ვახტანგ VI. ომის დროს დიდ სირთულეს წარმოადგენდა ლურსმნების, საღებავების, საერთოდ, დეკორაციების შონა. როგორც იქნა, მოპოვეს ეს ყველაფერი. საქართველოს კინემატოგრაფიის ერთ-ერთმა მესვეურმა, გამოცდილმა ოპერატორმა ფელდმანმა და რეჟისორმა ნიკოლოზ სანიშვილმა ერმიტაჟის მაშინდელ დირექტორს იოსებ ორბელის (ორბელიანს) მიაშურეს. სწორედ იქ უნდა გადაღებულიყო ანა დელფინის მიერ გახტანგ VI-ის მიღების სცენა. შეწუხდა დირექტორი: როგორ მოახერხებთ გადაღებას, დარბაზებში მინებიჩამს ხერულია, იატაკი ტალაზისა და წვიმისგან დაზიანებულიო. გადამღები ჯგუფი დაპირდა ერმიტაჟის ჩამს ხერული მინების აღდგენას, დარბაზების გარემონტებას, ფილმის დირექტორს, ტარასი მახარაძეს, ვიღაც ქართველმა, გვარად ბერიძემ აჩუქა უამრავი მინა (ურალიდან ჩამოუტანეს). აი, ეს მინები ჩასვეს ერმიტაჟის შენობის ფანჯრებში.

წლის ჭიჭინაძე: ქალისათვის მუსიკა, მუსიკის ქალისათვის ჰიტი!

უნდა აღინიშნოს სტალინის მხარდაჭერა ამ ფილმის გადაღების პროცესში. აბა, ომის დროს ლენინგრადში გადაღებების დაწყებას როგორ გაებედვით!? თანაც, სტალინმა კარგად იცოდა დავით გურამიშვილის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიასა თუ ლიტერატურაში. თამამად ვიტყვი, შოთა რუსთაველის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია ასეთი დიდი პოეტი.

ფილმში სრულიად შემთხვევით მიმიწვიეს. სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, 19 წლის. რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის დედას ქუჩაში შემთხვევით ვენახივარ, უკან გამომყოლია, გაუგია მისამართი და სახლში მისულს შვილისთვის უთქვაშს, გურამიშვილის სატრუქოს როლისთვის მსახიობს რომ ეძებთ, ქუჩაში ისეთი კარგი გოგო ვნახე, აი მისამართი, წადით და თქვენც მოინახელეთო. ასე მიმიწვიეს ამ ფილმში ნიკოლოზ სანიშვილმა და იოსებ თუმანიშვილმა. გიორგი შავგულიძე უკვე დანიშნული იყო მთავარ როლზე. ის იყო უდიდესი მასშტაბების მქონე მსახიობი, შეეძლო როგორც ტრაგიკული, ისე კომიკური როლების თამაში. ჩვენ პირველად სწორედ

ამ ფილმში შევხვდით ერთმანეთს. ერთ ეპიზოდში ჩემთვის უნდა ეგოცნა. მოიტანდა ახლოსჩემს სახესთან თავს და აუტედებოდა სიცილი. კაცო, ქალისთვის არ გიკოცნა! - უკვირდა რეჟისორს. - ქალისთვის როგორ არ მიკოცნა, მაგრამ ბჟდარტისთვის - არაო - იცინოდა. ბოლოს ეს ეპიზოდი ისე გადაიღეს ვითომ მკოცნის და თავით ეფარება ეკრანს. ასე დავრჩი მისთვის ბოლომდე ბავშვად. შემდეგ წლების მანძილზე გიორგი ჩემი პარტნიორი იყო სცენაზე. იყო უბრწყინვალესი პიროვნება, საოცრად კეთილი, დარღიმანდი, ყველანაირად შემკული გაშეკაცი - გარეგნობითაც და სულიერებითაც. მის ოჯახთან ვმეობობოდი - მის მეუღლესთან - ლიზიკო ვაჩნაძესთან. გიორგი შავგულიძის გარდაცალება საშინელება იყო ყველასთვის. თეატრში მოიტანეს ამბავი - გიორგი შავგულიძეს მანქანა დაჯახა, დაიღუპაო. მთელი დარბაზი ლრიალებდა, ხმამაღლა მოთქამდა. გიორგი ყველას უყვარდა, ინტელიგენციასაც და უბრალო ხალხსაც. რაღაც სხვანაირი იყო. ამ ტრაგედიის შემდეგ ათასი ჭორი აგორდა - ნასვამი იყო, გზაზე ვერ გადავიდათ

ქართველი



და ა.შ. მაგრამ ის კი ვიცი, მძღოლი, ვინც ის ტროლეიბუსი დააჯახა, საშინლად განიცდიდა ამ შემთხვევას, ტიროდა. ჩემს ცხოვრებაში ასეთი დაკრძალვა არ მინახავს. ზღვა ხალხი იყო, თქვენ წარმოიდგინეთ, ქურთებიც კი მოვიდნენ, სხვა ერის შვილები. ამ ფილმში ბრწყინვალე არტისტები მონაწილეობენ - ალე ომიაძე, შალვა ლამბაშიძე, გიორგი დავითაშვილი და სხვები. ბატონი ალე ბრწყინვალე პიროვნება იყო, განათლებული. საერთოდ, ამ თაობის მსახიობები გამოირჩეოდნენ წიგნიერებით, ფართო განათლებით, კულტურით. რომელი ერთი ჩამოვთვალო - ისინი დიდი ქართველები იყვნენ. “დავით გურამიშვილში როდესაც გადამიღეს, გავეცანი ისტორიას, ჩვენს იმდროინდელ ყოფას. ახლა საყვედურით წერენ - რუსეთს როგორ შევუერთდით, რატომ გადადგა ერეკლემ ეს ნაბიჯიო და ა.შ. ერეკლე რომ არ ყოფილიყო და საქართველო რუსეთს რომ არ შეერთებოდა, დღეს ქართველი საძებარი იქნებოდა. მადლობის მაგირად, აქეთ საყვედურობენ ყველას, ვისაც კი მისწვდებან. ილიას რომ ერი მოკლავს, ამაზე სამარცხინო რა უნდა იყოს!?

იცით, ილია ჭავჭავაძემ რა გააკეთა! - ლეკებს გზები ჩაუკეტა, კახეთში რომ არ გაბატონებულიყვნენ, ჩაასახლა იქ იმერლები... ემდურიან ერეკლეს, მოკლეს ილია, ლაფში სვრიან სტალინის სახელს იმ კაცის სახელს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობის აღდგენაში. სულ ბავშვი ვიყავი, როდესაც სიმონ ჩიქოვანის ცოლმა წამიყვანა მცხეთაში და დავესწარი კალისტრატე ცინცაძის აღსაყდრებას.

ორი ფილმი, რითაც შეიძლება რუსეთთან კეთილმეზობლობის აქდგენა, ეს არის - „დავით გურამიშვილ“ და „ჯარისკაცის მამა“. მართალია, რუსეთის იმპერია იპყრობდა მეზობელ მიწებს - შამილის ისტორია მახსენდება - დამარცხებული შამილი პეტერბურგში მიჰყვდათ. ორი კვირის მგზავრობის შემდეგ გადაღლილმა რუს გენერალს პკითხა - ბატონო გენერალო, ბოლოს და ბოლოს, როდის ჩაგალთ პეტერბურგში? გენერალს



უპასუხია - იმამ, ერთ კვირაში პეტერბურგში ვიქენებითო. გაღიმებია შამილს: - იმპერატორს გადაეცით, ამხელა მიწების პატრონს ჩემი ორმოცდაათი აული რად უნდოდაო...

ქეთუვან სამიცაშვილი

გლეღვიტო ჩილევილი სალვანას

მეს დაწერა.

თქვენშე.

ერთ ლღელ ცილან ოქტოცემბრი სომალია
მოგონდა. თქვენ ეაგანებიდათ. მომ ამ
სომალის უნდა წაკულოდით. ჩატერით და
წახულით ცაში...

მე დაწერა...

დაწერა. მოვარი დიდი გაცი იყო ეოლერძი
ჩილელი.

დაწერა. მომ ჰილოს მას ძალიან უჭირდა...

ცულია იყო...

დაწერა. მომ ცოცხალი ეოლერძი ჩილელი
ჯულფური სამინიცნომ მიაცოდა!

დიან!

იმასკ დაწერა. მომ ერთ-ერთ ცნობილ
ჰიზნების მასთან დახმარებისთვის
მისული ეოლერძი ჩილელისთვის
“ლიმონიცული წანისული” “შესხებია”
და...

დაკიძელვაზე, ალათ, ის ჰიზნების
მიმდინარება...

დიან!

დაკიძელვაზე მთელი საქანთველო მიგა...
ჯულფური სამინიცნოლანაც მიგლენ და
დაიცირებენ...

ჰერი ყნამუსოც მიგა იქ.

იმათაც მოყვდათ ეოლერძი ჩილელი და
მიცოდეს!

მე დაწერა.

დაწერა. მომ ეოლერძი ჩილელმა აღამიანთა
სერი სკლი დაცია და ასე შექმნა
“აღამიანთა სერი”

დაწერა...

დაწერა. მომ... კითხვაზე “პაცომ ცილი

აღამიანთა” - ლღელ ყველა ერთ ჩასუნი
სცენა...

დაწერა. მომ აღამიანთა ლღელ ეოლერძი
ჩილელი უცირებათ...
უცირებათ და ცილიან!

დაწერა...

დაწერა. მომ საქანთველოს ეოლერძი
ჩილელი მოყვიდა!

დაწერა. მომ ის ცაში წაგილა...
ამალლა!

დაწერა. მომ ჩერე ყველანი ის ჩაცანია
მწყემსი ჰიზები გართ. ისმები მომ
მოყვილე მონალიზება...

დაწერა...

და ხმამალლა გიყვილებ მეს: “ამინიცუნებ
ჩემი ისმები!”

დაწერა...

დაწერა. მომ “სამოთხის ეჭიიცები”

ეადინენე ყრი...

დაწერა. მომ ლღელ მთელი საქანთველო
ელოვობები!!!

დაწერა. მომ...

* * *

დაწერა. მომ ჰელნიერი გარ...

მე ეოლერძი ჩილელთან გმეორებისას! და
ამიცოდეს!

დაწერა. მომ...

ერთ ლღელ ცილან ოქტოცემბრი სომალია
მოგონდა. მას ეაგანებიდა. მომ ამ
სომალის უნდა წაკულოდა. ჩატერა და
წაგილა ცაში...

დაწერა. მომ ის ცაში წაგილა... ამალლა!

ეიონე მამაცავზილი

ვიცოდი, აუცილებელად იტნიშვილა აღმდეგი!

გორგო ჩოხაძე

აი, ახლა ამ მოთხოვის წერასაც ძია საშა მაბედვინებს, იგი სულეთის ქვეყნიდან გამომყურებს და თითქოს მაქეზებს:

- დაწერე! დაწერე!

მანამდე კი, სანამ ძია საშა გახდებოდა ჩემთვის, ბატონი საშა იყო, ყველა-სათვის მკაცრი და წესრიგის მოყვარე ბატონი საშა, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თუატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელმაც სულ ზეპირად იცოდა, რომელ ჯგუფში რამდენი სტუდენტი ვიყავით და ვინ როდის, რამდენი წუთით დაგაგვიანეთ ამა თუ იმ ლექციაზე. დაირეკებოდა თუ არა ლექციის დაწყების ზარი, ბატონი საშა შემოილიდა ინსტიტუტს, ყველა აუდიტორიის კარს შეაღებდა, კარში გაჩერდებოდა და დაითვლიდა: ერთი, ორი, სამი... სად არის მეშვიდე? სად არის მერვე? და ა.შ., იმის მიხედვით, რამდენი სტუდენტი ვაკლდით ლექციას. მე რაკი მთიდან ვიყავი ჩამოსული, მეცხვარეს მექანია. ხშირად მაგვიან-

დებოდა, განსაკუთრებით პირველ ლექციაზე და ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, როცა ჩემი მისამართით ხმამაღლა ვყიროდა ბატონი საშა:

- სად არის მერვე? მე თქვენ გეკითხებით, სად არის მეცხვარე?

- მოვა პატივცემულო, ხომ იცით, შორს ცხოვრობს, - იმხანად ნათესავთან ვცხოვრობდი ლოტკინის გორაზე.


- აგე, აგე მოვიდა, - ეუბნებოდნენ ჩემი თანაკურსელები და მეც დანაშაულში დაჭრილი, თავჩაღუნული ვჩერდებოდი კართან.

- რატომ აგვანებ, ჰა! - მერამდენედ მიყვიროდა ბატონი საშა.

- ავტობუსს დააგვიანდა, ბატონო საშა და მეც ვეღარ მოვედი დროზე.

- ავტობუსი არ ვიცი მე, ავტობუსი არ სწავლობს ამ ინსტიტუტში და რა ჩემი საქმეა, სად დააგვიანდა, შენ რატომ აგვანებ, შენ, შე მეცხვარე შენა, რას მოეთრული მთიდან, თუ ინსტიტუტში დროზე მოსვლა არ შეგიძლია, ყოფილიყავი ცხარში.

- მაპატიეთ, პატივცემულო, მეტს აღარ დავაგვიანებ.



- დააგვიანებ და დაემშვიდობე, მოგიხსნი სტიპენდიას! - მემუქებოდა ბატონი საშა. მაშინ სტუდენტისათვის სტიპენდია, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულთათვის, ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო და ყველა ვცდილობდით, როგორმე არ დაგვევიანა, რომ ბატონ საშას თავისი მუქარა მართლა არ შეესრულებინა. მახსოვს, ერთხელ ერთ ქუთაისელს როგორ დაემუქრა:

- ქუთეისი, მოგიხსნი სტიპენდიას!

- არ მაქვს, პატივცემულო! - ნიშნისმოგებით და ღიმილით შეეპასუხა ქუთაისელი.

- დაგინაშვნა და მოგიხსნი! - თავისი პრინციპიდან არ გადაუხვია ბატონმა საშამ და რაც შეპირდა, მართლა შეასრულა.

ქუთაისელმა ბატონი საშასათვის სამაგიეროს გადახდა მოინდომა და თავისი თანაკურსელი აიყოლია. ბუტაფორიული საამეროდან თავისი სპექტაკლი-სათვის გამზადებული კუბო, სასახლეს რომ ეძახიან (ზოგისთვის მართლა რომ სასახლეა და ზოგისთვის მართლა კუბო) თავიანთ აუდიტორიაში შეიტანეს, შიგ ქუთაისელი სტუდენტი ჩაწერა, გულზე ხელები დაიკრიფა და ასე დაელოდნენ ლექციის დაწყებას.

დაირეკა ზარი, იმათ აუდიტორიის კარი ჩვეულებისა-
მებრ შეაღ ბატონმა საშამ, დაითვალა სტუდენტები
და იკითხა:

- სადაა, ქუთიერისი?
- მოკვდა, პატივცემულო! - ტირილი მორთეს
ქუთიერისის თანაკურსელებმა.

ბატონი საშა შეცა:

- ოოდის?! ოოგორ?! რა დემართა?! - კითხუ-
ლობდა შეშფოთებული.

- ლადიძის წყლის დასალევად იყო შესვენებაზე
გადასული, რუსთაველის პროსექტი გადმოირბინა
და მანქანამ დაარტყა. იქვე დალია სული და ეს-ესაა
ჩავასვენეთ - ფარდის უკან სასახლში ჩასვენებული
ქუთიერის აჩვენეს სტუდენტებმა და ერთხანს ტირილი
შეწყვიტეს; კველას აინტერესებდა შემდეგი სცენა. ბა-
ტონი საშა თავზე დაადგა ქუთიერის და ეჭვით მიმოიხ-
და. მერე დაბალ ხმაზე წამოიწყო:

- ქუთიერი!

ქუთიერი წევს, არ ინძრევა, არც სუნთქმას, გულ-
ზე ხელები აქვს დაკრეფილი.

- ქუთიერი, ადექი ზეზე! - ცოტა ხმას აუწია ბა-
ტონმა საშამ. ქუთიერიმა უფრო შეიკრა სუნთქმა.
- ქუთიერი ადექი ზეზე! - ქუთიერი არ ინძრევა.
- ქუთიერი, ადექი თორემ ისევ დაგინიშნავ და
ისევ მოგიხსნი სტიპენდიას.

ქუთიერი არ ჩუჩუნებს.

ბატონმა საშამ ჩაიმუხლა, სასახლეში მწოლია-
რეს გულზე ყური დაადო, ჯერ თავზეწამომდგარ სტუ-
დენტებს ახედა, მეტე ქუთიერის ყურში უჩურჩულა:

- ადექი, შე ღვთის უბედურო, თორემ ემანდ მარ-
თლა არ გაიგუდო და მერე მე კი არა, ღმერთიც ვე-
ღარ დაგინიშნავს სტიპენდიას.

„ძეგლარშ სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე.

ბატონი საშა შევიდად გავიდა აუდიტორიიდან.
იგი ჩია ტანის კაცი იყო, ასაკი არ ეტყობოდა, მე მგო-
ნი, თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან
აქ იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე რუსთაველის
პროსექტზე მოსეირნე ხალხი ხშირად გაკვირვებულ-
ნი უფრენებლნენ, სასტუმრო „თბილისის“ ქვეშ მდგბა-
რე სახინ კლედან როგორ ფაცხაფუცხით მიპყავდა
ქუჩაზე გოლიათები: ხან ბატონი დოღო აბაშიძე, ხან
ზურა ქაფიანიძე და რა ვიცი, სავსე იყო გოლიათე-
ბით ინსტიტუტი. ვინც არ იცოდა, ვინ იყო ბატონი
საშა, გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, ვერაფერი
გაგოთ, რატომ ეშინოდათ ამ გოლიათებს ასეთი ჩია
ტანის კაცისა, მაგრამ ათეული წლების მანძილზე მე-
ორდებოდა ასეთი სცენები და ბევრმა უკვე იცოდა,
რაც ხდებოდა.

ერთხელ, ის-ის იყო გავცდი ოპერის შენობას,
რომ ჩემი თანაკურსელი, კარგად მოსული, თემოებია-
ნი გოგო წამომეწია, შეშინებულმა ხელკავი გამომდო
და წამჩურჩულა: ჩქარა, ზარი უკვე დაირეკა, საშა

მოგვდევს უკან.

ფეხს ავუჩქარეთ.

უკნიდან გეგმის ბატონი საშას კომენტარები:

- მეცხვარე, ისევ დაგვიანე, არა?

- არ მიიხედო, ვითომ ვერ ვხედავთ, - წამჩურჩუ-
ლა გოგომ.

- ვითომ არ ესმით. ეს კიდე, ნახე, ნახე, როგორ
მიაქანავებს! - გვწევა ბატონი საშა. ჩემი თანაკურ-
სელი აღშფოთებული სახით მიუბრუნდა და წინ გა-
უჩერდა.

- ჩანთას, გოგო, ჩანთას, - დაუყვავა ბატონმა სა-
შამ და მერე სამივემ ერთად ავუჩქარეთ ნაბიჯს.

იმ დღეს გადავრჩი, რომ სტიპენდია არ მომიხ-
სნა, მაგრამ ერთი კვირის მერე, ისევ ოპერის თეატ-
რთან მომესმა ჩენი ინსტიტუტიდან ზარის ხმა.

- მეცხვარე ისევ არ იშლი დაგვიანებას, არა?!
- უკნიდან ბატონი საშას ხმა გავიგონე.

მივიხედე. მართლა ისაა. რა ვიცი, ამ ბოლო
დროს თვითონ რატომ აგვიანებს. ეტყობა აგადა და
მანც დადის სამსახურში, თავს არ უტყდება. ელდა-
ნაცემი გავიქეცი ინსტიტუტისაკენ. ძირს არ ვიხედე-
ბი, მეშინია, არ დამეტიოს და აუდიტორიაში მინდა
დაგხვდე შემოწმების დროს. ის-ის იყო, მივაღწიე ინ-
სტიტუტის შესასვლელს, რომ უცებ ასფალტი ჩაინ-
გრა და მიწაში ჩავგარდი. ეტყობა, ამ ადგილას გამდი-
ნარე წყლებია და რუსთაველის თეატრის შენობაც,
რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ეკვრის, იმან დააზიანა.
ცოტა ხნით გონება დაგვარგე, მერე ბატონი საშას
ხმა შემომესმა:

- მეცხვარე!

ავიხედე: ქვევრის პირიგით პირმორდეულ ას-
ფალტს ზემოო ბატონი საშა ჩამომჩერებია:

- რა გინდა მანდ?! მიწის ზემოთ არ გეყო გაც-
დენები და ახლა მიწაშიც მემალები, არა?! ამოდი ზე-
მოთ! ამოდი ჩქარა!

მე წამოვიწიე, მაგრამ ღონე არ შეოფნის, ისე
ვარ გაოგნებული.

- არ ამოდიხარ, ხომ? დამაცა, მოგიხსნი სტი-
პენდიას და იჯექი მანდ მეორედ მოსვლამდე, აღდგო-
მას დაელოდე. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა სტი-
პენდიას მოხსნა! - ორმოში მესმოდა ბატონი საშას
მუქარა, რომელიც უკვე ინსტიტუტში შევიდა.

ვიჯექი ბნელ ორმოში და ვფიქრობდი, ეს რა
იყო?!

რა დამემართა?!

ან ეს ორმო საიდან გაჩნდა, მაინცდამანც ახ-
ლა... ბედი არა მაქვს და ეგ არის... ახლა კი მართლა
მომიხსნის სტიპენდიას და რა მეშევლება. სახლიდან
ვინ რას გამომიგზავნის, თვითონაც უჭირთ. რას ავი-
ტებე ეს კინო და თეატრალური ინსტიტუტი, კვიფი-
ლიყავი მართლა მეცხვარე. კველაფერი იმის ბრალია,
ვინც პირველად კინო მოიტანა გუდამაყარში. მაშინ

მესამე კლასში ვიყავი, მთელ ხეობაში გავარდა ხმა, კინო მოიტანეს, ამ საღამოს უჩვენებენო, აუარება ხალხი შეგროვდა სკოლის შენობასთან, რომლის ერთ კედელზეც თუთო ზეწრებს კიდებდნენ ეკრანის სანაცვლოდ. დაღამებას ელოდებოდნენ, სიბნელეში უფრო კარგად გამოჩნდებათ. ერთმა ჩვენებურმა კაცმა შევგმინა, კინოს კი ნახავთ, მაგრამ თავიდან ფრთხილად თუ არ იყავით, კინოს ისეთი მჭახე ხმა აქვს, შეიძლება ყურის ბარაბნები დაგიხეთქოთ და დაყრულეთ.

ჩვენ შევშინდით.

- ნუ გეშინიათ, მე წინ დაუდგები, ყურებში თითებს გავიკეთებ და თქვენც გაიკეთო, მერე მომენტს შევურჩვა, როცა დაბალ ხმაზე ილაპარაკებენ, ხელ-ნელა გამოვწევ თითებს და თქვენც ასე ქენით, ხელ-ნელა შეეჩიეთ.

ყველამ თითები გავიკეთო ყურებში.

ჩამობნელდა.

დაიწყო კინო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კინაღამ გადავირე ამ არაჩელებრივი სანახაობით ვხედავ, ჩვეულებრივია დადიან იმ უჩვეულო მეორე სამყაროში ადამიანები, ლაპარაკობენ... მივიხედ-მოვიხედე, ყველას გამოღებული აქვს ყურებიდან თითები და გულიანად იცინიან. მეც მინდა მოვისმინო, რას ლაპარაკობენ კინოში, მაგრამ დაწრებისა მეშინია. მერე ჩემთვის გადავწყვიტე, მოღი, რაც იქნება, იქნება, ჯანდაბას, ერთი ყურით დავყრულები, ოლონდ მოვისმინო, რას ლაპარაკობენ, რაზე იცინის ეს ხალხი, მაგრამ კარგა ხანს იმაზე ვიჰიპოჭანე, რომელი ყური გამერია, მარჯვენა თუ მარცხნა. ბებიაჩემის ნათქვამი გამახსნდა: კაცს რასაც მარცხნა ყურში ეშმაკი ჩასძახებს, მიდი, ასე-ასე გააკეთე, ასე-ასე ქენიო, მარჯვენაში კეთილი ანგელოზი ელაპარაკება და ჭკვაზე არიგებს. რაკი ასეა, მარცხნა ყურიდან გამოვწიე თითო და ეკრანიდან ძახილი გავიგონე:

გოდერძი! გოდერძი, შვილო!

ვა! მიცნო!

მე მეძახის! - გამიკვირდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახოდა. იმ დღიდან მოვიწამლე კინოთი და სხვა საქმეა, რა გადამზდა და როგორ ჩავაბარე ინსტიტუტში, როგორ დავწერე კინოს გარჩევის ნაცვლად ლექსი, რაკი რუსული არ ვიცოდი და გამოცდაზე რუსული ფილმი გვაჩვენეს. ვერაფერი ვერ გავიგე და შემრცხვა, ცარიელ ფურცლებს ხომ არ ჩავაბარებდი, ლექსი დავწერე: ირეშზე, რომელიც ბარად ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივზე და მგონი კიდევ შვლის ნუკრიც შევურიე შიგ - ყველა ამათგანში კი ჩემს თავს ვგულისხმობდი.

სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი.

გამიყვანეს მეორე გამოცდაზე. მოღილენენ ჩემს სანახავად: მთიდან ვიღაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩვას გამოცდაზე ლექსადა სწერსო. ერთი დარბაისელი კაცი შემოვიდა, გამომკითხა, ვინა ვარ და საიდანა ვარ. მოუყევი, რატომ მიყვარს კინო. მერე იმ კაცმა მხარზე ხელი დამაღლ და მითხრა: შვილო, მიგიღებთ, ოღონდ ჩემი თხოვნა იქნება, თბილისმა არ გაგაფუჭოს!

წვეიდა ის კაცი. მერედა გავიგე, რომ ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი იყო. აი ახლა, ინსტიტუტის წინ ფქტევეშ ასფალტი ჩამენერა, გზიგარ იმ ორმოში და თან იმ კაცის ხმა მესმის, თან საშას მუქარა, რომ მომიხსნის სტიპენდიას.

რა ვქნა, ჲა?

ამოფოფხდი მაღლა და დარღიანი შევედი ინსტიტუტში.

მერეც დარღიანი დავდიოდი, ვიცოდი, შემისრულებდა ბატონი საშა დანაპირებს.

დადგა სტიპენდიების გაცემის დღე.

მე, რა თქმა უნდა, სალა-

როსთან არ მივსულვარ, მაგრამ ჩემმა თანაკურსელმა მითხრა, მოლარე გეძახისო. გულში იმედი ჩამესახა. ორმოცი მანეთი მქონდა, რაკი ოთხები მეწერა საგამოცდო მატრიკულში. ხუთოსნებს ორმოცდაათ მანეთის აძლევდნენ. ახმეტელის სახელობის სტიპენდიანტებს - სამოცს, მარჯანიშვილისას - ოთხმოცს, ხოლო ლენინურ სტიპენდიანტებს - ას მანეთს.

- ჩოხელო, რატომ არ იღებს სტიპენდიას, ჲა? - გამიღიძა მოლარემ.

- აღარა მაქვს, მომიხსნა ბატონმა საშამ.

- მოგიხსნა კი არა, მოგიმატა, აპა - მომაწოდა ფული მოლარემ.

დავითგალე და ასი მანეთია. სამოცს უკან ვუბრუნებ, შეგეშალათ-მეთქი.

- არაფერიც არ შემეშალა, ბატონმა საშამ ლენინური სტიპენდია დაგინიშნაო - ისევ გამიღიძა მოლარემ.

წამოუედი გახარებული. რესტორან „თბილისში“ მაშინ კაცი ათი მანეთი ჯდებოდა.

მერე გავიგე, როცა ბატონმა საშამ ჩემზე ითხოვა ლენინური სტიპენდია დავუნიშნოთო, პროფესორ-მასწავლებლებს გაკირვებით უკითხავთ, კი მაგრამ რა დამსახურებისთვისო?

- ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ მინახავს, რომ ამოღენა თბილისში, ამდენი ხალხი რომ მიდი-მოდის, ვინმეს ფქტევეშ მიწა ჩანგრეოდეს და მიწაშე ჩავარდნილიყოს. მაინცდამაინც მაგ საწყალ მთის ბიჭს ჩანგრა ფქტევეშ მიწა და ვინ იცის, რა შიში ჭამა. ეს ჩემი პირადი თხოვნაა თქვენდამი, რომ დაგუნიშნოთ ლენინური სტიპენდია, - ასე უთხოვია მათვის ბატონ საშას, ახლა უკვე ჩემს ძია საშას. კომკავშირის „ცეკვლებისაგანაც“ ძია საშამ დამიხსნა. რაკი ლენინური სტიპენდიანტი ვიყავი, უნდოდათ დაგულებები მოეცათ და ინსტიტუტში მომაღგნენ წასაყვა-

ნად.

- ვერ გამოუშვებ! - მკაცრად განუცხადა ძია საშამ.
 - რატომ?! - გაუკვირდათ იმათ.
 - რეპეტიციები აქვს, როლს თამაშობს.
 - რა როლს? - დაინტერესდნენ.
 - მეცხვარის როლს! - არ დაიბნა.
 - რა პიესაა?
 - აღდღომა! - ეს სიტყვა რატომღაც დამარცვლით უთხრა ძია საშამ.
- ისინი ნაწყენი სახეებით წავიდნენ.
- ძია საშაც წავიდა ამ ქვეყნიდან - და ახლა, რო-

ცა ძალიან მომენატრება, სულეთის ქვეყნისაკენ მივაპ-
ყობ ხოლმე გულისყურს და მაშინ, თითქოს ცხადში,
ისე ვხედავ ძია საშას: თან მიღიმის, თან თით მიქნევს
და რაღაცას მეძახის მკაცრი ტონით იქიდან. ალბათ
მაიმედებს - ყოჩაღად იყვაი, ჩემო მეცხვარე ბიჭო, არ
ჩაუმუხლო წუთისოფელს!

- და ძისი შემხედვარე, მეც იმწუთას ვმზნევდები,
აღარ მეშინია, რომ კიდევ ჩამენგრევა ფეხქვეშ მიწა;
ვიცი, თუ ასე მოხდა, ჩემი ძია საშა იმდენს შესძლებს,
იქიდანაც მოახერხებს და ძისი სულის ნათელი დამქ-
მარება აქ, თანაც მჯერა მთელი სულით და გულით,
მთელი ჩემი არსებით მჯერა იქნება, იქნება, აუცილებ-
ლად კიდევ იქნება აღდგომა.

ს ე პ ე რ ი შ ა მ ჲ ჰ ა ვ ა ნ დ ე

მოგზაურობა საქართველოში

1. ერთ ქართულ ხალხურ ლექსში ეს მუძუმწოვარი ცხოველი ამბობს:
„გამწიეს და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედაო, მხარეულებს მიმაბარეს – კარგად შეწვით ცეცხლზედაო”
2. ეს ხუროთმოძღვრული ძეგლი მტკვრისა და არაგვის შესართავს მთიდან გადმოჰყურებს.
3. წელიწადის რა დროზეა საუბარი ლექსში:
„კაკლებს ბერტყენ, აღუღებენ თათარას, ვენახს კრეფენ, ქვევრებს რეცხნ ღიპიანს“
4. ასე ჰქვია გამხმარ, გამომშრალ ხილს.
5. რა საერთო სახელი აქვს ნაძვს, სოჭს, ფიჭს, კედარს. ისინი ზამთარში იქრს არ იცვლიან.
6. თბილისის რომელ ბალშია საბაგშო რკინიგზა? — ა) მუშთაიდის; ბ) ვაკის; გ) ვერის.
7. რისი ჯიშებია: თუშარაული, კეხურა, შაფრანი, ანტონოვკა, ივერია, ბანანი?
— ა) მსხლის, ბ) ქლიავის, გ) ვაშლის.
8. რა ერქვა მაგდანას სახედარს?
9. შეასწორე სიტყვა — თამაშოფს.
10. ეს დიდი ქართველი მწერალი წიწამურთან მოკლეს.

ბავშვებო მჯერა, რომ პასუხებში არ ჩაიჭყიტებით და თვეური ცოდნით მშობლებს გაახარებთ
ქხლა კი, მოდით, ქართული ანებლოტებით ერთად
ვ ი ც ი ნ თ

- თუ შეიძლება, ერთი კილო კანფეტი „ძროხის კვერცხი“ ამიწონეთ.
- გეეთი არ გაგვიგონია.
- ვაა, თუ „ჩიტის რძე“ გაგიგონიათ, „ძროხის კვერცხე“ დაყრუვდით?

* * *

პაციენტი ექიმს ეკითხება:

- რას ნიშავს ჩემს დიაგნოზში „ე. უ.“?
- ეშმაკმა უწყის...

* * *

მილიციელი ნასვამ მძღოლს აჩერებს, რომელიც შემხევდრ გზაზე მიდის:

- სად მიდისხარ?
- არ ვიცი, მაგრამ მგონი, დაგაგვიანე - ყველა უკვე უკან მოდის.

* * *

ბიჭიგია — ჭიჭიგიას:

- ბიჭო, რით ვერ გაიგე, აქ თევზაობა არ შეიძლება.
- ვინ გითხრა, რომ ვთვეზაობ? ჭიაფელას ვაბანავებ.

ქართული

რაჭელი კუს ასეირნებდა და კუ გაუქცა.

* * *

ორი ფსიქიატრი საუბრობს:

- დღეს პაციენტი მყავდა, რომელიც მიმტკიცებდა, რომ ტელეფონი გადავყლაპე.
- მერე განკურნე?
- ხვალიდან ვიწყებ, დღეს მნიშვნელოვან ზარს ელოდება.

* * *

შეფი ახალ თანამშრომელს მიმართავს:

- აგიხსნათ ჩემმა მოადგილემ, რა უნდა გააკეთოთ?
- დიახ, თქვენი გამოჩენისთანავე უნდა გავიღვიძო...

* * *

დედა შვილს ციხეში სწერს: “შვილო, ძალა აღარ მაქს, ბოსტნისთვის ხელი აღარ მომიკიდია, მიწის თხრა არ შემიძლია, ვერაფერი დაფუქსე, რა ვქნა, აღარ ვიცი”. შვილი წერს: “დედი, ბოსტანს არ მიეკარო, თორები ისეთ რამეს ამოთხრი, ინანებ”. დედა: “შენი წერილი როგორც კი მოვიდა, ჩვენს ბოსტანს პოლიცია დაესია და სულ გადათხარა. ვერაფერი ნახეს და ძალიან გაბრაზებულები წავიდნენ”. შვილი: “რითაც შემეძლო, დაგეხმარე, დათესვა შენზეა...”

ქართული ანდაზიში

ზაფხული ზამთრის მუშა არისო.

აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.

ბავშვი აკვანში იცნობაო

ბუზი ბევრი ბზუისო და ფუტკართან ყველა ტყუისო.

გამდიდრდები — გაძუნწდებიო.

ერთმანეთისა ცქერითა სახლი აივსო მტვერითა.

ვაი, გაქცევას, ვაი, არგაქცევასო.

ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენო.

1. კურდლელი, 2. ჯვრის მონასტერი,
3. შემოლებული, 4. ჩირი, 5. მარადმწვანე,
6. ა) მუშთაითის, 7. გ) ვაშლის, 8. ლურჯა, 9. თამაშობს, 10. ილია.

ქართული მოთხოვის

ერთხელ მღვდელმა შენიშნა, რომ მისი მრევლის ყველაზე მორწმუნე წევრი უკვე დიდი ხანი აღარ მოდიოდა კვირის წირვაზე. ამიტომაც მან გადაწყვიტა სახლში სტუმრებოდა ამ კაცს. იგი მღვდელს მასპინძელი ბუხრის წინ მჯდომი დახვდა. მოძღვრი წენარად მიუახლოვდა ბუხარს, საკეცით ერთი ნაკვერჩხალი გამოიღო და იატაკზე დადო. შემდეგ სკამზე დაჯდა და რამოდენიმე წუთის განმავლობაში აკვირდებოდა მას. ნელ-ნელა ნაკვერჩხალი ჩაქვრა და ჩაიფერფლა. კაცი მიხვდა მღვდლის უსიტყვო ქადაგებას და გახარებულმა წამოიძახა: მამაო, თქვენ მე საუცხოოდ მიქადაგეთ, მომაგალ კვირას აუცილებლად მოვალ წირვაზე.

ბავშვებო, ეს მოთხოვის მე თქვენთვის იმიტომშევარჩიე, რომმისიპირდაპირიმნიშვერებულობის გარდა, თქვენ ერთ საკითხზეც შეგიძლიათ ჩაიფირდეთ. სამშობლოს სითბოს მოკლებულებს, როგორ შეგიძლიათ დარჩეთ მუდმივად მოგიზგიზე ნაკვერჩხლად. იქნებ, გარიყული ნაკვერჩხალის მუდმივი ელგარების წინაპირობა თქვენთვის ქართული წერა-კითხვაა, ლექსია და სიმღერაა. იქნებ, ისტორიაა წარსულისა და ამწყოსი. ცოდნის დაუფლების კი ნურასოდეს შეგეშინდებათ. ჩვენ დიდ მწერალს დ. გურამიშვილს ასე უთქვამს: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!”

გვერდი მოამზადა
ნინო ცხომელიძე – დეპერშმიდტმა



გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო
სტრუქტურაში აღიარებულ
დამწებულ თარგმანებს საგალდებულო “ISO-Norm”-ის დაცვით ხანმოკლე ვადაში და შეღავთიან ფასებში.

მაკა ბაუერი, დიპლ.-გერმანისტი,
სამეცნიერო და მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში
მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt

ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;

Fax: 09521/1258

www.dolmetscher-georgisch.de

maka.bauer@gmx.de

ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538 München
089/3234202; 0179/2559199

ZWIEGESPRÄCH AN DER KRIPPE

EinkleinerJunge ist stolz darauf, einen Großvater zu haben, der Figuren schnitzen kann. Es ist schon faszinierend zuzusehen, wie langsam aus einem Stück Holz „lebendige“ Gestalten entstehen. Der Junge vertiefte sich so in die geschnitzten Krippenfiguren, dass sich seine Gedanken mit der Welt der Figuren vermischten: Er geht mit den Hirten und Königen in den Stahl und steht plötzlich vor dem Kind in der Krippe. Da bemerkt er: Seine Hände sind leer! Alle haben etwas mitgebracht, nur er nicht. Aufgeregt sagt er schnell: „Ich verspreche dir das Schönste, was ich habe! Ich schenke dir mein neues Fahrrad - nein, meine elektrische Eisenbahn.“ Das Kind in der Krippe schüttelte den Kopf und sagte: „Ich möchte aber gar nicht die elektrische Eisenbahn. Schenke mir deinen letzten Aufsatz!“ „Meinen letzten

Aufsatz?“, stammelte der Junge ganz erschrocken, „aber da steht doch..., da steht ungenügend drunter“ „Genau deshalb will ich ihn haben“, antwortete das Jesuskind. „Du sollst mir immer das geben, was nicht genügend ist. Dafür bin ich in die Welt gekommen!“ „Und dann möchte ich noch etwas von dir“, fährt das Kind in der Krippe fort, „ich möchte deinen Milchbecher!“ Jetzt wird der kleine Junge traurig: „Meinen Milchbecher?“ – Aber der ist mir doch zerbrochen!“ „Eben deshalb will ich ihn haben“, sagt das Jesuskind liebevoll, „du kannst mir alles bringen, was in deinem Leben zerbricht. Ich will es heil machen!“ „Und noch ein Drittes möchte ich von dir“, hörte der kleine Junge wieder die Stimme des Kindes in der Krippe, „ich möchte von dir noch die Antwort haben, die du deiner Mutter gegeben hast, als sie dich fragte,

wieso denn der Milchbecher zerbrechen konnte.“ Da weint der Junge.

Schluchzend gesteht er: „Aber da habe ich doch gelogen. Ich habe der Kutter gesagt: „Der Milchbecher ist mir ohne Absicht hingefallen.“ Aber in Wirklichkeit habe ich ihn ja vor Wut auf die Erde geworfen.“ „Deshalb möchte ich die Antwort haben!“, sagt das Jesuskind bestimmt, „bring mir immer alles, was in deinem Leben böse ist, verlogen, trotzig und gemein. Dafür bin ich in die Welt gekommen, um dir zu verzeihen, um dich an die Hand zu nehmen und dir den Weg zu zeigen...“ Und das Jesuskind lächelte den Jungen wieder an. Und der schaute und hörte und staunt...

nach Walter Baudet



ლეიტონი

კ 1 6 4 0 3 0

3						1
5	2	6		1	9	
		5	4		3	
	1	8	7	6		
2			9	3		
7	8	9	1	2	5	
5	8					2
	2		6	9		4
4		3	8	1		

6 0 7 3 0

		6		1		7	
1				7	2		5
			9			1	
					8		
		9	6	3			
7			8	1		6	
3					4		1
2		4		8			
8				7	5		9

მალობას კუნძული ა/რ „ელის საინჟინერო კლუბი“ დახმარებისათვის

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

ლაზარების გამოცემა:

ბაქეთის კარის სატვირთო

სახელაქანო ყოდება:

ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)

ნინო დალაქიშვილი

ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტი

თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

მალობას კუნძული იაკობ და ნიკოლოზ ჭალიაშვილების ფინანსი
ყველა ნომრის ექიმისაჲი პოსლებაში ყვილები დახმარებისათვის

ლეიტონი მისამართი

Georgischer Verein in
Deutschland e.V.

Leri Datashvili

Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:

ტელ.: 0711/12 28 97 26

ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი პატიონები

ამერიკაში გამომავალი

ქათური გაზეთი „მამული“